


ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 2 (289)
თებერვალი
2021

ACCA

**Don't let the fear of losing be greater
than the excitement of winning**



საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№ 2(289)
თებერვალი
2021

მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი მანანა გველესიანი

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ცისკარა ზარანდია; ნადეჟდა კვატაშიძე; ზურაბ ლიპარტია; გიორგი ნანუაშვილი;
დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე; რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე;
დავით ჯალალონია; ელენე ხარაბაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფელერაციიდან

ბაფის მოსალოდნელი შემოსავლები და
ხარჯები 2021 წლისათვის (პროექტი) 3

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რუბრიკას უძღვება **ბაბი ალავერდაშვილი**

რა უნდა ვიცოდეთ გამოცდაზე წარმატების მისაღწევად
მოდულები „აუდიტი და მარნმუნებელი მომსახურება“ და
„აუდიტი და მარნმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე) 9

საბა ძაძამია

პანდემია ფინანსურ დირექტორებს
ლიკვიდურობის უკეთ მართვას აიძულებს 37

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
მსჯელობს ჯგუფის ანგარიშგების წესების ცვლილებაზე 38

ოფიციალური მასალები 40

კითხვა-პასუხი 71

ინფორმაცია გირჟებიდან 74

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა
გადაეცა წარმოებას 3.03.2021. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.03.2021.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,75. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

© ბაფი 2021 წელი ჟურნალი რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
18.09.1997 წ. რეგისტრაციის № 4/4-1236

ბაფის მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები 2021 წლისათვის (პროექტი)

განმარტება: 1. პროექტით წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებში განხილული არ არის გრანტებიდან შესაძლო შემოსავლების მიღება, აგრეთვე ხარჯები, რომელიც შეიძლება დამატებით წარმოიქმნას კომიტეტების სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ზოგიერთი საქმიანობის დასაფინანსებლად. გათვალისწინებლობის საფუძველი:

- ბიუჯეტის შედგენის დღისათვის საგრანტო პროექტზე ინფორმაციის არ არსებობა;
- მიმდინარე ეტაპზე კომიტეტების სამოქმედო გეგმები დამტკიცებული არ არის და დამატებით დასაფინანსებელ მუხლებზე ინფორმაციის არქონა.

გრანტების მოძიების შემთხვევაში, დონორისაგან მიღებული დაფინანსება თანაბრად აისახება როგორც შემოსავლებში ასევე ხარჯებში და გავლენას ვერ მოახდენს წარმოდგენილ ბიუჯეტით დაგეგმილ ფინანსურ შედეგებზე.

ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლებზე შესაძლო გადამეტებული ხარჯების დაფინანსების წყარო მოძიებული იქნება დონორებისაგან, კომიტეტების მიერ ან/და დაიფარება გასული წლების რეზერვებიდან.

განმარტება: 2.COVID-19-ის პანდემიით შექმნილი ბუნდოვანების გათვალისწინებით, შესაძლებელია საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების გადასინჯვა და კორექტირება, გამგეობის მიერ.

მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები

	შემოსავლები	ლარში	
1	საწევრო შენატანებიდან	224,720	(შენიშვნა 1)
2	განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან	518,400	(შენიშვნა 2)
3	სხვა შემოსავლები	163,100	(შენიშვნა 3)
	სულ შემოსავლები	906,220	
	ხარჯები		
1	წევრების მომსახურებასთან დაკავშირებული	229,225	(შენიშვნა 4)
2	განათლებასა და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული	508,943	(შენიშვნა 5)
3.	სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული	165,282	(შენიშვნა 6)
	სულ ხარჯები: *	903,450	

1. შემოსავლები საწევრო შენატანებიდან 224,720 ლარი

(1-ლი შენიშვნა)

1.	ნამდვილი წევრების საწევრო შენატანები, მ.შ.წევრი აუდიტორების - 39,0000 (325 წევრი x 10 ლ. x 12 თვე); პროფესიონალი ბუღალტრების - 23,820 (397 წევრი x 5ლ. x 12 თვე)	62,820 ლარი
2.	ასოცირებული წევრების შენატანები	70,500 (5,875 წევრი x 1 ლ. x 12 თვე) ლარი
3.	2021 წელს მიღებული წევრები	4,400 (400 ახალი წევრი x 11ლ.) ლარი*
	სულ შემოსავლები ფიზიკური პირებიდან	137,720 ლარი
4.	კორპორაციული წევრების შენატანები	87,000 (5კ. x 5,000) + (4კ. x 3,000) + (50კ. x 1,000 ლ) ლ**
	სულ საწევრო შემოსავლები	224,720 ლარი

* საბიუჯეტო პერიოდში ივარაუდება 400-მდე ახალი წევრის მიღება, რომლებიც გადაიხდიან გაწევრიანების ერთჯერად გადასახადს - 5 ლარს და საწევროს - 6 ლარს (გაწევრიანების პერიოდების განსხვავების გამო, ახალი წევრების მიერ საანგარიშო წლის საწევრო შენატანები საშუალოდ გათვლილია 6 თვეზე).

** კორპორაციული საწევრო წლიური შესატანი დადგენილია ბაფის წევრი კომპანიების შემოსავლების (საბიუჯეტო წლის წინა საანგარიშგებო წლის) მიხედვით.

2. შემოსავლები განათლებისა და სერტიფიცირების პროგრამებიდან 518,400 ლარი**ა) სასწავლო პროგრამებიდან 193,000 ლარი**

(მე-2 შენიშვნა)

1.	განგრძობითი სწავლება	149,000 (350 წევრი x 300 ლ) + (200 წევრი x 200 ლ) ლარი + (40 წევრი x 100 ლ) *
2.	სხვადასხვა ტრენინგები	44,000 ლარი**
	სულ შემოსავლები	193,000 ლარი

* განგრძობითი პროგრამის სემინარში მონაწილეობის ღირებულებაა აუდიტორებისათვის 300 ლარი დღე-ის გარეშე, ხოლო სხვა ნამდვილი წევრებისათვის 200 ლარი. აუდიტორი კომპანიების მიერ ჩატარებული განგრძობითის ჩათვლის მოსაკრებელია 100 ლარი-1 წევრი.

** სხვადასხვა ტრენინგებიდან შემოსავალი, ძირითადად, მიიღება:

ა) 2021 წელს დაგეგმილია 12 სემინარი (ჯამურად 48 საათი) ფიზიკური და კორპორაციული წევრებისათვის. ერთ სემინარში (საშუალოდ 3 საათი) მონაწილეობისათვის წევრი გადაიხდის 12 ლარს (დღე-ის გარეშე). ივარაუდება, რომ ყველა სემინარში (ჯამურად) მონაწილეობას მიიღებს 2500 პირი და მიღებული შემოსავალი შეადგენს 30,000 (2500 მს. x 12 ლ) ლარს;

ბ) საოფისე და კომპიუტერული პროგრამების სწავლებიდან - 19,600 (280 მს x 70 ლ) ლარი;

ბ) სერტიფიცირების პროგრამებიდან 325,400 ლარი

1.	სერტიფიცირების გამოცდები	227,600 (1100 კანდ. x 176ლ.)+(100 კანდ. x 340ლ.) ლარი*
2.	პროფესიული სერტიფიცირების ლიტერატურა	80,500 (600 ეგზ. x 50ლ) + (500ეგ. x 70ლ.) ლ; (100ეგ. x 150ლ.) ლარი **
	სერტიფიცირების გამოცდების ჩათვლა	11,700 (130 კანდ. x 90ლ.)***
	სულ შემოსავლები	325,400 ლარი

- * ივარაუდება, რომ 2021 წელს ზამთრისა და ზაფხულის გამოცდებზე მონაწილეობას მიიღებს 1200 კანდიდატი. მათ შორის პირველ ორ ეტაპზე 1,100 ხოლო მესამე ეტაპზე 100 კანდიდატი.
- ** პროფესიული სერტიფიცირების ლიტერატურის ღირებულება განსხვავებულია, სერტიფიცირების დონეების მიხედვით.
- *** ბიზნესის ადმინისტრირების პროფილით სერტიფიცირების კანდიდატებს (შესაბამის უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე), უფლება აქვთ მიიღონ პირველი ეტაპის მოდულებში გამოცდების ჩათვლა. ჩათვლებიდან მოსალოდნელი შემოსავლები დაგეგმილია 2019-2020 წლების ანალოგიით.

3. სხვა შემოსავლები 163,100 ლარი

(მე-3 შენიშვნა)

1.	შემოსავალი დისტრიბუციიდან	95,000 ლარი*
2.	საიჯარო შემოსავლები	10,100 ლარი**
3.	პროცენტიდან შემოსავალი	52,000 ლარი ***
4.	დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი	6,000 ლარი ****
	სულ სხვა შემოსავლები	163,100 ლარი

- * დისტრიბუციიდან შემოსავლები გათვლილია “ბრუტო” პრინციპით, საიდანაც პროგრამების ღირებულების 60% ერიცხება პროგრამის მესაკუთრეს.
- ** შემოსავალი მიიღება საოფისე ფართობის ნაწილის ქვეიჯარიდან.
- *** საბანკო დეპოზიტზე განთავსებულ თანხებზე დარიცხული პროცენტი.
- **** დივიდენდის თანხა, შპს “პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის” 2020 წლის ფინანსური შედეგებიდან გამომდინარე.

ხარჯები

1. საწევრო შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები - 229,225 ლარი

(მე-4 შენიშვნა)

ფიზიკური პირი წევრების მომსახურების ხარჯები 136,385 ლარი, მათ შორის		
1.	საწევრო გადასახადი ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში	8,250 (2,500 აშშ დოლარი x 3,3) ლარი *
2.	კონსულტანტების ხელფასი	21,600 (1,800 x 12თვე) ლარი
3.	წევრებთან ურთიერთობის მენეჯერი ხელფასი	9,000 (750 x 12თვე) ლარი
4.	სემინარები წევრებისათვის (პროგრამა Zoom და ლექტორების ხელფასი)	10,300 ლარი**
5.	საექვო მოთხოვნების კორექტირება	22,000 ლარი***
7.	ადმინისტრაციული ხარჯები	65,235 (434,900 x 15%) ლარი
	სულ ფიზიკური პირების მომსახურების ხარჯები	136,385 ლარი
კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯები: 92,840 ლარი, მ. შ.		
1.	საწევრო გადასახადი	8,250 (2,500 აშშ დოლარი x 3,3) ლარი *
2.	დიაგნოსტიკური ანგარიშების მომზადება კორპორაციული წევრებისათვის	4000 (4კომპ. x 100 ლ) ლარი

3.	დისციპლინარული მოკვლევა	4,000 (2 მოკვ. x 2000 ლ) ლარი
4.	სემინარები წევრებისათვის (პროგრამა Zoom და ლექტორების ხელფასი)	7,100 ლარი**
5.	კონსულტანტის ხელფასი	12,000 (1,000 x 12 თვე) ლარი
6.	წევრებთან ურთიერთობის მენეჯერი ხელფასი	9,000 (750 x 12 თვე) ლარი
7.	საექვო მოთხოვნების კორექტირება	5,000
8.	ადმინისტრაციული ხარჯები	43,490 (434,900 x 10%) ლარი
	სულ კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯები	92,840 ლარი

* ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში წლიური საწევრო გადასახადი არის 5000 აშშ დოლარი. გადასახადის 50% გადახდილი იქნება ფიზიკური პირი წევრების შემოსავლებიდან, ხოლო 50% კორპორაციული საწევრო შემოსავლებიდან.

** საანგარიშო წელს დაგეგმილია 48-საათიანი ონლაინ სემინარები წევრებისათვის. სემინარების ორგანიზებულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის, 1 წლის ვადით, 7,800 ლარად შეძენილია პროგრამა Zoom, რომლის ხარჯები თანაბრდება (7800/2) მიკუთვნებული ფიზიკური პირებისა და კორპორაციული წევრების მომსახურების ხარჯებს. სემინარების ლექციების ჩატარების მოსალოდნელი ხარჯია: წევრი ფიზიკური პირების 6400 (32სთ. X 200ლ.), ხოლო კორპორაციული წევრების 3200 (16სთ. X 200ლ.) ლარი.

*** გასული წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წევრთა გარკვეული ნაწილი არ/ვერ ასრულებს ვალდებულებებს და საჭირო ხდება მათზე დარიცხული მოთხოვნების კორექტირება. საბიუჯეტო წელს გათვალისწინებული კორექტირების თანხის გაანგარიშება ეფუძნება გასული წლების პრაქტიკას.

2. განათლებისა და სერტიფიცირების ხარჯები 508,943 ლარი

(მე-5 შენიშვნა)

ა) განათლების ხარჯები: 137,079,208 ლარი;

	განათლება	
1.	განგრძობითი სემინარების მომსახურება (მასალები, ტრენინგი)	33,750 (9 ჯგ. x 3,750ლ.) ლარი
2.	სხვა სასწავლო პროგრამები	12,000 (6,000 ლექ/ხ + 6,000 იჯარა)
3.	ადმინისტრაციული ხარჯები	91,329 ლარი (434,900 x 21%) ლარი
	სულ სასწავლო პროგრამების ხარჯები	137,079 ლარი

ბ) სერტიფიცირების საგამოცდო პროცესის ხარჯები - 296,524 ლარი

1	საგამოცდო მასალების მომზადება	20,800 (13 გამ. x 2 ჯერ x 800 ლ) ლარი
2	საგამოცდო მასალის გამრავლება	2,400 (1,200 პრეტ. x 2ლ) ლარი
3	გამოცდაზე ზედამხედველობა	16,800 (14 დღე x 20 ზედამ. x 60 ლ) ლარი
4	ნაშრომების შეფასება	8,400 (600 ნ. x 6 ლ.) + (600 ნ. x 8 ლ) ლარი
5	გასწორებული ნაშრომების აუდიტი	1,200 (1,200 ნაშრ. x 2% x 50 ლ) ლარი
6	კომიტეტის თავმჯდომარის ხელფასი	24,000 (2,000 ლ x 12 თვე) ლარი
7	განათლების მეთოდისტის ხელფასი	24,000 (2000 ლ x 12 თვე) ლარი

8	მასალების რედაქტირება	9,600 (800 x 12 თვე) ლარი
9	განათლების კოორდინატორის ხელფასი	12,000 (1000 ლ x 12 თვე) ლარი
10	სერტიფიცირების პროგრამის მართვის სისტემა	10,000 ლარი*
11	საგამოცდო აუდიტორიების იჯარა	12,250 (14 დღე x 875 ლ) ლარი
12	საგამოცდო კომისიის თავმ-ის ხელფასი	24,000 (2000 ლ x 12 თვე) ლარი
13	საგამოცდო კომისიის ოფისის იჯარა	18,000 (1,500 ლ x 12 თვე)
14	ადმინისტრაციული ხარჯები	113,074 (434,900 x 26%) ლარი
	სულ ხარჯები	296,524 ლარი

- ბაფი საქმიანობის ავტომატიზაციისათვის იყენებს წევრების აღრიცხვისა და პროფესიული სერტიფიცირების ონლაინ სისტემებს, რომელიც შექმნილია 12 წლის წინ და ველარ პასუხობს დღევანდელ ამოცანებს, რადგან ეს სისტემები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მუშაობენ და არ ხდება მათ შორის ინფორმაციის გაცვლა. ამასთან, ზედამხედველობის სამსახურის მხრიდანაც იყო გამოთქმული შენიშვნები სისტემის მიმართ. 2020 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობს და საანგარიშო წლის 31 მარტამდე დასრულდება პროგრამის მართვის ახალი ონლაინ სისტემის შექმნა.

ბ) სერტიფიცირების ლიტერატურის თარგმნისა და გამოცემის ხარჯები 75,340 ლარი

1.	პროფესიული სერტიფიცირების წიგნების გამოცემის ხარჯები	16,000 (400 ეგზ. x 40 ლ) ლარი
2.	დამხმარე სახელმძღვანელო ლიტერატურის მასალების თარგმნა	6,250 (250 გვ. x 25 ლ) ლარი
3.	რედაქტორის ხელფასი	9,600 (800 x 12 თვე) ლარი
4	ადმინისტრაციული ხარჯი	43,490 ლარი (434,900 x 10%) ლარი
5.	სულ თარგმნისა და გამოცემის ხარჯები	75,340 ლარი

3. სხვა შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯები 165,282 ლარი

(მე-6 შენიშვნა)

1.	საბუღალტრო პროგრამების ღირებულება	57,000 (95,000 x 60%) ლარი
2.	პროგრამის დისტრიბუტორის ხელფასი	19,000 (38,000/2ლ) ლარი
3.	ქველმოქმედება	2.000 ლარი
4.	ქონების გადასახადი	3.000 ლარი
5.	2019 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	6.000 ლარი
6.	ადმინისტრაციული ხარჯი	78,282 (434,900 x 18%) ლარი
	სულ სხვა ხარჯები	165,282 ლარი

4. განაწილებული ადმინისტრაციული ხარჯები - 434,900 ლარი ***ა) სათავო ოფისი - 391,600 ლარი**

1.	ხელფასი	303,000 (25,250 ლ. x 12 თვე) ლარი
2.	ოფისის იჯარა	60,000 (5.000 ლ x 12 თვე) ლარი
3.	კომუნიკაციის ხარჯები	3,600 (300 ლ x 12 თვე) ლარი
4.	საკანცელარიო ხარჯები	3,600 (300 ლ x 12 თვე) ლარი
6.	ტექნიკური აღჭურვილობის რემონტი	1,000 ლარი
8.	ა/მანქანის საწვავი, რემონტი, დაზღვევა	8,400 (700 ლარი x 12 თვე)
9.	ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	8,000 ლარი
11.	ადმინისტრაციული ხარჯების ჯამი	387,600 ლარი
12.	სხვა, გაუთვალისწინებელი ხარჯი	4000 (387,600 x 0,01%)
	სულ: სათავო ოფისის ხარჯები	391,600 ლარი

ბ) ფილიალები - 43,300 ლარი

1.	ხელფასი	22,200 (6ფ. x 250 ლ x 12) + (1ფ. x 350 ლ x 12,5) ლ.
2.	ოფისის იჯარა	19,200 (6ფ. x 200 ლ x 12) + (1ფ. x 400 ლ x 12) ლ.
3.	კომუნალური ხარჯები (ტელ. ფაქსი)	700 ლარი
4.	საკანცელარიო ხარჯები	500 ლარი
7.	სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	7.00 ლარი
	სულ ხარჯები	43,300 ლარი

* ადმინისტრაციული ხარჯები განაწილებულია მომსახურების სფეროების მიხედვით, მისაღები შემოსავლების პროპორციულად.

ლავრენტი ჭუმბურიძე
აღმასრულებელი დირექტორი

რა უნდა ვიცოდეთ გამოცდაზე წარმატების მისაღწევად

მოდულები „აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ და
„აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება“ (უმაღლესი დონე)

ამ სტატიაში შევეცდებით სტუდენტებს გარკვეული რეკომენდაციები მივცეთ იმასთან დაკავშირებით, რა უნდა იცოდნენ იმისთვის, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების“ მოდულის გამოცდაზე წარმატების მიღწევის მათი შანსი. რჩევებთან ერთად, საილუსტრაციოდ განვიხილავთ მაგალითებს (კითხვებს) წინა წლების საგამოცდო მასალიდან.

პირველ რიგში, მრავალვარიანტულ კითხვებს განვიხილავთ, შემდეგ კი სცენარზე (სიტუაციურ მაგალითებზე) დაფუძნებულ კითხვებს (სიტუაციურ მაგალითებზე დაფუძნებულ კითხვებთან დაკავშირებული ჩვენი რეკომენდაციები გამოადგებათ „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების“ მოდულის როგორც პროფესიული დონის, ისე უმაღლესი დონის გამოცდაზე გამსვლელ სტუდენტებს).

ობიექტური კითხვები

როგორც ვიცით, არცთუ ისე დიდი ხანია, რაც „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების“ მოდულის საგამოცდო მასალაში შეიტანეს ობიექტური ტესტები/კითხვები. მართალია, ამ დონის სტუდენტებს მრავალვარიანტულ კითხვებთან მუშაობის გარკვეული გამოცდილება მიღებული აქვთ სასწავლო კურსის პირველი ეტაპიდან, მაგრამ მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, სტუდენტებს შევახსენოთ გამოცდელის ზოგიერთი რეკომენდაცია, გამოცდისთვის მზადებისა და გამოცდაზე პასუხის გაცემის ეფექტურ მიდგომასთან დაკავშირებით. ამასთან, ზოგიერთ ისეთ კითხვასაც ვუპასუხოთ საგამოცდო მასალის ამ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ნებისმიერ სტუდენტს აინტერესებდეს.

რას ნიშნავს ობიექტური კითხვა?

ობიექტური კითხვა არის მოკლე კითხვა, რომელიც კონკრეტულ პასუხს მოითხოვს და მიკუთვნებული აქვს 2 ქულა. ობიექტური კითხვა შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, „განცალკევებული“ (რაც არ გვხვდება „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების“ მოდულის გამოცდაზე), ან საერთო სცენარზე დაფუძნებული 5 კითხვისგან შემდგარი ჯგუფი. თვითონ ობიექტური კითხვები შეიძლება 7 ტიპის/ფორმატის იყოს, მათ შორის მრავალვარიანტული კითხვა, ან შეავსეთ გამოტოვებული ადგილი (ეს უკანასკნელიც არ გვხვდება ამ მოდულის გამოცდაზე) და სხვ. „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების“ მოდულის გამოცდაზე, როგორც წესი, შეგხვდებათ მრავალვარიანტული კითხვები, რომლებსაც ერთი სწორი პასუხი აქვს. სუბიექტური ტესტებისგან განსხვავებით, ობიექტურ ტესტებში არ არის „სივრცე“ სტუდენტის მოსაზრების გამოსათქმელად. ერთი პასუხია სწორი და თქვენ უნდა განსაზღვროთ, რომელია ეს პასუხი.

როგორ ხდება ქულების მინიჭება პასუხებზე?

სწორი პასუხისთვის ხელმისაწვდომ 2 ქულას მიიღებთ, ხოლო არასწორი პასუხისთვის – არანაირს. ობიექტურ კითხვებში პასუხებზე ქულების ნაწილის მინიჭება არ ხდება, განსხვავებით სიტუაციურ მაგალითებზე დაფუძნებული კითხვებისგან.

ქულებს ვკარგავთ არასწორი პასუხებისთვის?

თუ თქვენი პასუხი არასწორია (ანუ არასწორად შეარჩიეთ პასუხი), თქვენ ამ კითხვაზე 2 ქულას ვერ მიიღებთ, მაგრამ ამისთვის არ „დაჯარიმდებით“ შემდეგში. ეს იმას ნიშნავს, რომ არაფერი „დაგიშვდებათ“, თუ რომელიმე კითხვას გამოტოვებთ და შემდეგ კითხვაზე გადახვალთ. ერთი ტესტის არასწორი პასუხი გავლენას არ ახდენს შემდეგი ტესტების ქულებზე. მაშასადამე, თუ გაგიჭირდათ რომელიმე კითხვაზე პასუხის შერჩევა, პირიქით, უკეთესია თუ ჩაინიშნავთ კითხვას და შემდეგ კითხვაზე გადახვალთ (ამით საგამოცდო დროს უფრო ეფექტიანად გამოიყენებთ), ხოლო თუ დრო დაგრჩებათ, ისევ მიუბრუნდებით მას.

ასეა ერთ სცენარზე დაფუძნებულ 5 კითხვის ჯგუფისგან შემდგარ ობიექტურ კითხვებშიც – რომელიმე კითხვის პასუხი არ არის დამოკიდებულია სხვა კითხვის პასუხზე?

არა. მართალია კითხვების თითოეული ჯგუფი ერთსა და იმავე სცენარს ეყრდნობა, მაგრამ თითოეული კითხვა გულდასმით არის გამოყოფილი სხვებისგან, რათა ცალკეულ კითხვებს შორის არანაირი კავშირი და დამოკიდებულება არ არსებობდეს. ასე, რომ რომელიმე კითხვაზე არასწორი პასუხის გაცემა (შერჩევა), როგორც უკვე აღვნიშნეთ, გავლენას არ იქონიებს თქვენს შესაძლებლობაზე, სხვა ოთხ კითხვას სწორად უპასუხოთ.

გამოცდაზე პასუხის გაცემა ობიექტური კითხვებით დაინწყით?

ამ კითხვის სტანდარტული პასუხი არ არსებობს. ეს თქვენი პირადი გადაწყვეტილებაა. თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ საგამოცდო კითხვებზე პასუხის გაცემისთვის თქვენ მიერ შემუშავებული მიდგომა თქვენს შესაძლებლობებს შეესაბამება. მაგალითად, თუ დარწმუნებული ხართ, რომ უფრო სწრაფად უპასუხებთ ობიექტურ კითხვებს, შეგიძლიათ გამოცდაზე პასუხების გაცემა ობიექტური კითხვებით დაიწყოთ, ან თუ დარწმუნებული ხართ, რომ უფრო გიადვილდებათ სცენარზე დაფუძნებულ კითხვებზე პასუხის გაცემა, შეგიძლიათ აქედან დაიწყოთ. მთავარი აქ სხვა რამეა: რა მიდგომაც არ უნდა აირჩიოთ, თქვენ მოქნილი უნდა იყოთ გამოცდის დროს და ეფექტურად შეგეძლოთ საგამოცდო მასალის სხვადასხვა განყოფილების კითხვებზე ან კითხვიდან კითხვაზე „გადასვლა/გადმოსვლა“.

ობიექტური კითხვა სასწავლო პროგრამის რომელიმე თემას ეხება?

დიახ. თითოეული ობიექტური კითხვა სასწავლო პროგრამის რომელიმე კონკრეტულ საკითხთანაა დაკავშირებული და, მაშასადამე, თითოეულ გამოცდაზე ობიექტური კითხვებით მოცული იქნება სასწავლო პროგრამის ფართო მასალა.

გამოცდისთვის მზადება

როგორც ნებისმიერი შეფასების დროს, ამ შემთხვევაშიც წარმატების მიღწევის ოქროს წესია გამოცდისთვის გულმოდგინედ მომზადება. ACCA-ის გამოცდების შედეგების შესახებ მომზადებულ ანალიტიკურ ანგარიშებში გამომცდელს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ზოგიერთი სტუდენტი გამოცდისთვის სათანადოდ არ იყო მომზადებული. ხშირ შემთხვევაში, სტუდენტები არაადამაკმაყოფილებელი ცოდნის კომპენსირებას იმით ცდილობენ, რომ ჰგონიათ, „ისე მიხვდებიან, გამოიცნობენ“ პასუხებს, ან გამოცდისთვის მზადებისას ყურადღებას ამახვილებენ მცირე რაოდენობის „საყვარელ“ თემებზე. გამოცდისთვის მზადების ამგვარი მიდგომა უკიდურესად რისკიანია და გამომცდელები ყოველთვის ძალიან ეწინააღმდეგებიან მას, მნიშვნელოვანი მიზეზის გამო.

როგორც აღვნიშნეთ ვინაიდან ობიექტური კითხვებიდან თითოეული სასწავლო პროგრამის რომელიმე კონკრეტულ საკითხს ეხება, თითოეული გამოცდა სასწავლო პროგრამის ბევრ საკითხს მოიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გსურთ მაქსიმალურად გაიზარდოს გამოცდის წარმატებით ჩაბარების თქვენი შანსი, უნდა აითვისოთ მთელი სასწავლო პროგრამა.

თქვენ შეიძლება ილბლიანი იყოთ და გამოცდაზე შეგხვდეთ კითხვა რომელიმე ისეთი თემაიდან, რომელიც ყველაზე ბოლოს ისწავლეთ, ან ყველაზე უკეთ იცით, მაგრამ ცხადია ასე არ მოხდება შეკითხვების დიდი უმრავლესობის შემთხვევაში, რომლებზეც გამოცდაზე მოგიწევთ პასუხის გაცემა. ამასთან, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია, ივარჯიშოთ გასული პერიოდების საგამოცდო კითხვებსა და სტანდარტულ საგამოცდო კითხვებზე. გარდა ამისა, მრავალვარიანტულ კითხვებზე პასუხების გაცემაში სცენარზე დაფუძნებულ კითხვებზე ვარჯიშიც დაგეხმარებათ, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში უფრო ღრმად ერკვევით სასწავლო პროგრამის თითოეულ თემასთან დაკავშირებულ საკითხებში.

გამოცდაზე არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყურადღებით წაიკითხოთ თითოეული კითხვა და ყურადღებით შეარჩიოთ თითოეული კითხვის სწორის პასუხი. გამოცდისთვის მზადების პროცესში კი, იმის მიუხედავად, სწორად უპასუხებთ თუ არასწორად სავარჯიშო კითხვას, თქვენ ყველა შემთხვევაში გეძლევათ შესაძლებლობა, გაიღრმავოთ ცოდნა ამ თემის ირგვლივ. როდესაც მსჯელობთ იმაზე, პასუხის ესა თუ ის ვარიანტი რატომ არის სწორი, თქვენ იღრმავებთ მოცემული საკითხის ცოდნას, ხოლო თუ იმასაც გააანალიზებთ, სხვა ვარიანტები რატომ არის არასწორი, ეს დაგეხმარებათ არასწორად გაგებული საკითხების გარკვევაში და, საბოლოო ჯამში, ცხადია ესეც დაგეხმარებათ სწორი პასუხების შერჩევაში და გაურკვევლობისა და ეჭვების დაძლევაში.

მიაქციეთ ყურადღება: როდესაც გამოცდისთვის მზადების დროს ვარჯიშობთ პრაქტიკულ კითხვებზე, მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ სავარჯიშოს ძირითადი მიზანია თქვენი ცოდნის გაღრმავება და არა მარტო სწორი პასუხის მიგნება. ამასთან, როდესაც იხილავთ პასუხის თითოეულ ვარიანტს, მნიშვნელოვანია ზუსტად გაიგოთ, რა არის საკითხის არსი, „დაიჭიროთ“ ძირითადი მომენტი და დარწმუნდეთ, რომ სწორედ ამაზე ამახვილებთ ყურადღებას თქვენი ცოდნის გასაღრმავებლად.

გამოცდაზე

წაიკითხეთ შეკითხვა

ალბათ ძალიან ბევრ სტუდენტს გააოცებს იმის გაგება, რამდენ დროს, ძალისხმევა-სა და განხილვას მოითხოვს თითოეული კითხვა მანამ, სანამ საგამოცდო მასალებში შეიტანენ. თითოეულ კითხვას რამდენჯერმე დეტალურად იხილავენ მას შემდეგ, რაც მას მოამზადებენ. ეს იმას ნიშნავს, თქვენ აუცილებლად ძალიან ყურადღებით უნდა წაიკითხოთ შეკითხვა და გახსოვდეთ, რომ თითოეული სიტყვა წინასწარგამიზნულად არის შერჩეული, რათა შეკითხვა იყოს ცალსახა და სტუდენტები არ დააბნიოს, შეცდომაში არ შეიყვანოს.

იფიქრეთ

საყოველთაოდ გავრცელებულია მცდარი შეხედულება იმის შესახებ, რომ, ზოგადად, მრავალვარიანტულ კითხვებზე პასუხის გაცემა ადვილია. ეს მოსაზრება ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ ერთ-ერთი ვარიანტია სწორი პასუხი. ამგვარად, ზოგიერთს ჰგონია, რომ ერთადერთი რამ უნდა გააკეთოს – უბრალოდ სწორი არჩევანი გააკეთოს. ხანდახან შეიძლება გამართლებული იყოს, თუ იტყვით, რომ ზოგიერთი შეკითხვა ადვილია, მაგრამ, როგორც წესი, ამის მიზეზი ისაა, რომ თქვენ საფუძვლიანად იყავით მომზადებული. ვიმედოვნებთ, რომ ასე მოხ-

დება მხოლოდ რამდენიმე შეკითხვის შემთხვევაში, მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ პასუხი არ იქნება გასაგები.

ასე, რომ შეისწავლეთ თქვენი სასწავლო პროგრამის ყველა თემა, ივარჯიშეთ ბევრ ტესტზე, გააანალიზეთ ტესტების როგორც სწორი პასუხები, ისე არასწორი. გამოცდისთვის მზადების დროს ისწავლეთ პასუხების გასაცემად საჭირო დროის გაკონტროლება და ბოლოს, გამოცდაზე, უკიდურეს შემთხვევაში, ნუ დატოვებთ ნურც ერთ ტესტს უპასუხოდ. სცადეთ, იქნებ გაგიმართლოთ და სწორ პასუხს მიაგნოთ.

ახლა საილუსტრაციოდ და სავარჯიშოდ განვიხილოთ რამდენიმე ობიექტური ტესტი 2019 წლის მარტი/ივნისის გამოცდიდან:

შემდეგი სცენარი დაკავშირებულია მე-6–10 კითხვებთან.

კომპანია „ჩესტერი“ სათამაშოებს აწარმოებს შინაური ცხოველებისთვის და ყიდის საბითუმო ბაზარზე. კომპანიამ მოამზადა 20X8 წლის 31 ივლისს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება. თქვენ მუშაობთ აუდიტორულ ფირმა „დურჰამში“ აუდიტის ასისტენტად და, აუდიტის სამუშაო გეგმის მიხედვით, დაგავალეს მოკლევადიანი ვალდებულების ნაშთები აუდიტის ჩატარება.

თქვენ გამოითვალეთ კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი 20X8 წლისთვის და მიიღეთ 66 დღე (20X7 წ. – 45 დღე) და „ჩესტერის“ დირექტორებს სთხოვეთ, აეხსნათ თქვენთვის კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდის ზრდის მიზეზები.

„ჩესტერი“ ძირითადი მომწოდებლებიდან იღებს ყოველთვიურ ანგარიშებს და რეგულარულად ატარებს მომწოდებლების ანგარიშების შეჯერებას. 20X8 წლის 31 ივლისისთვის გამოვლინდა შეუსაბამოები შემდეგი მომწოდებლების ნაშთებთან.

მომწოდებელი	ნაშთი შესყიდვებს წიგნის მიხედვით	ნაშთი მომწოდებლის ანგარიშის მიხედვით
	\$	\$
ოქსფორდი	151,480	296,120
პულე	(72,168)	84,235
ბათი	82,348	92,340

კომპანია ოქსფორდი

„ჩესტერს“ „ოქსფორდთან“ გაფორმებული აქვს საკრედიტო შეთანხმება, რომლის თანახმად საქონლის მიღებიდან 14 დღეში მომწოდებელი მას წარმოუდგენს ანგარიშ-ფაქტურას. „ჩესტერმა“ 20X8 წლის 18 ივლისს მიიღო \$144,640-ის ღირებულების საქონელი, რომლის შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა მიიღო საანგარიშგებო წლის დასრულების შემდეგ უმოკლეს დროში, შეთანხმების თანახმად. „ჩესტერმა“ ეს ოპერაცია ბუღალტრულ ჩანაწერებში გაატარა ამ ანგარიშ-ფაქტურის თარიღით.

კომპანია პულე

მისი ნაშთის განსხვავება ჯერ ისევ გამოსაკვლევიან.

კომპანია ბათი

„ჩესტერის“ ფინანსურმა დირექტორმა გაცნობათ, რომ შეცდომა იყო შესყიდვების წიგნის საბოლოო ნაშთში და იგი დაიხურა სამი დღით ადრე. 20X8 წლის 29, 30 და 31 ივლისს მიღებული ანგარიშ-ფაქტურები გადაიტანეს 20X9 წლის წიგნში. „ჩესტერის“ დირექტორებმა დაგიდასტურეს, რომ ამ შეცდომის აღმოჩენის შემდეგ ხელით გაასწორეს შეცდომა ჟურნალის მეშვეობით.

6. რომელი მომწოდებლის ნაშთი მიანიშნებს მაღალი რისკის არსებობაზე, საანგარიშგებო წლის ბოლოს აღრიცხული ვალდებულებების სისრულესთან დაკავშირებით?

- ა მომწოდებელი, რომელსაც დიდი ნაშთი აქვს წლის ბოლოს და წლის განმავლობაში მცირე მოცულობის ოპერაციები აქვს განხორციელებული.
- ბ მომწოდებელი, რომელსაც პატარა ნაშთი აქვს წლის ბოლოს და წლის განმავლობაში დიდი მოცულობის ოპერაციები აქვს განხორციელებული.
- გ მომწოდებელი, რომელსაც პატარა ნაშთი აქვს წლის ბოლოს და წლის განმავლობაში მცირე მოცულობის ოპერაციები აქვს განხორციელებული.
- დ მომწოდებელი, რომელსაც დიდი ნაშთი აქვს წლის ბოლოს და წლის განმავლობაში დიდი მოცულობის ოპერაციები აქვს განხორციელებული.

სწორი პასუხი ბ. მომწოდებელი, რომელსაც პატარა ნაშთი აქვს წლის ბოლოს და წლის განმავლობაში დიდი მოცულობის ოპერაციები აქვს განხორციელებული შეიძლება იმაზე მიანიშნებდეს, რომ საანგარიშგებო თარიღისთვის აღრიცხული არ იყო ყველა ვალდებულება.

7. რომელი მოსაზრება გვიხსნის სწორად, რატომ გაიზარდა კრედიტორული დავალიანების პერიოდი 20X7 წელს არსებული 45 დღიდან 66 დღემდე 20X8 წელს?

- ა „ჩესტერმა“ რომელიმე მომწოდებლისგან 20X8 წელს პირველად მიიღო ფასდათმობა ადრე გადახდისთვის.
- ბ „ჩესტერმა“ მიიღო სავაჭრო ფასდათმობა ერთ-ერთი უმსხვილესი მომწოდებლისგან, რამაც მოცემულ წელს 10%-ით შეამცირა ამ მომწოდებლის მიმართ მისი დავალიანება.
- გ „ჩესტერმა“ 20X8 წლის ივლისში შეისყიდა უჩვეულოდ დიდი მოცულობის საქონელი, რათა შეესრულებინა ერთ-ერთი მსხვილი შეკვეთა და წლის ბოლოს ამ საქონლისთვის ჯერ არ ჰქონდა გადახდილი ფული.
- დ „ჩესტერმა“ სარგებელი მიიღო ერთ-ერთი მსხვილი შეკვეთის შესასრულებლად საჭირო საქონელზე, ახალი მომწოდებლის მიერ შეთავაზებული უფრო ხანგრძლივი საკრედიტო პერიოდისგან, რომლის დავალიანება წლის ბოლოს მთლიანად დაფარა.

სწორი პასუხი გ.

დიდი მოცულობის საქონლის შესყიდვა საანგარიშგებო პერიოდის მიწურულს გაზრდიდა კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდს.

სავაჭრო ფასდათმობაც და ადრე გადახდის ფასდათმობაც, ორივე შეამცირებს კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდს, ხოლო საკრედიტო პერიოდის გახანგრძლივება ამ შემთხვევაში გავლენას ვერ მოახდენდა საკრედიტო პერიოდზე, რადგან „ჩესტერს“ ახალ მომწოდებელთან ნაშთი არა აქვს.

შემდეგი სცენარი დაკავშირებულია მე-11-15 კითხვებთან.

კომპანია „ვიოლა“ ფეხსაცმლის მწარმოებელი კომპანიაა. თქვენ ხართ აუდიტორული ფირმის „ჰელოუს“ აუდიტის მენეჯერი და ამჟამად ატარებთ კომპანია „ვიოლას“ 20X8 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების საბოლოო შემოწმებულ მიმოხილვას, სანამ მოამზადებთ აუდიტორის დასკვნას. მოცემული წლის დაბეგვრამდე მოგება იყო \$131.4 მლნ (20X7 წელს – \$120.9 მლნ).

ანალიზური პროცედურები

შემაჯამებელი მიმოხილვის პროცესში თქვენ ჩაატარეთ ანალიზური პროცედურები ფინანსური ანგარიშგების პროექტზე და შენიშნეთ, რომ სავაჭრო დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი ნაკლებია იმასთან შედარებით, რაც იყო 20X8 წლის ივლისში ჩატარებული შუალედური აუდიტის დროს. თქვენთვის ცნობილია, რომ „ვიოლას“ კრედიტების კონტროლიორი 20X8 წლის აგვისტოში წავიდა კომპანიიდან და დირექტორებმა გითხრეს, რომ ამის გამო კომპანიას უჭირს ვალების ამოღება.

განმარტებითი შენიშვნები

წლის მანძილზე „ვიოლამ“ გადააფასა სათავო ოფისის შენობა და მიმოხილვის პროცესში თქვენ იხილავთ ინფორმაციას, რომელიც გამჟღავნებულია ძირითადი საშუალებების შესახებ მომზადებულ შენიშვნაში ფინანსური ანგარიშგების პროექტში.

შეუსწორებელი უზუსტობები

მიმოხილვის პროცესში თქვენ ასევე აფასებთ შეუსწორებელ უზუსტობებს. აუდიტის გუნდს სამუშაო დოკუმენტებში ჩანერილი აქვს ეს მონაცემები:

	\$'000
(1) შეცდომით გამოტოვებულია გადასახდელი პროცენტი	1,942
(2) საჭიროა დამატებითი ანარიცხის შექმნა დებიტორული დავალიანებისთვის	9,198
(3) შეცდომაა დაშვებული რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურების დამუშავებაში, რის გამოც გაყიდვების მოცულობა შემცირებულია	8,541
(4) ჩამონერილია წუნდებული საქონელი	2,900

წუნდებული საქონელი

წუნდებული საქონლის კორექტირება, რომელიც ნაჩვენებია შეუსწორებელი უზუსტობების დოკუმენტში (იხ. ზემოთ), დაკავშირებულია ფეხსაცმლის ერთ-ერთ მთლიან პარტიასთან, რომელიც გამოუშვეს 20X8 წლის 12 სექტემბერს. აუდიტორებს ჩატარებული სამუშაოდან გამოტანილი აქვთ დასკვნა, რომ ამ მარაგის თვითღირებულება აღემატება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას \$2.9 მლნ-ით. დირექტორები აუდიტის გუნდს ედავებიან ამ ციფრებთან დაკავშირებით, დარწმუნებულნი არიან, რომ მარაგის სარეალიზაციო ღირებულება ისევ აღემატება მის თვითღირებულებას.

11. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი სამუშაოა შესასრულებელი ფინანსური ანგარიშგების საბოლოო შემაჯამებელი მიმოხილვის დროს?

- (1) იმის დადგენა, არსებობს თუ არა აუდიტის ჩატარების წინაპირობები.
- (2) იმის შეფასება, ადეკვატურად არის თუ არა ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია და ახსნა-განმარტებები.
- (3) აუდიტის სამუშაო დოკუმენტების დეტალური მიმოხილვის ჩატარება, რათა აუდიტორი დარწმუნდეს, რომ სამუშაო სათანადოდ შესრულდა.
- (4) სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ მომზადებული განმარტებითი შენიშვნის ადეკვატურობის მიმოხილვა.

- ა 1 და 2
ბ 3 და 4
გ 1 და 3
დ 2 და 4

სწორი პასუხია „დ“. ფინანსური ანგარიშგების საბოლოო შემაჯამებელი მიმოხილვის დროს აუდიტორმა უნდა შეაფასოს, აუდიტის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია და შესაბამისი ახსნა-განმარტებები, ასევე ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ადეკვატურად არის თუ არა ასახული და გამჟღავნებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

აუდიტის ჩატარების წინაპირობების არსებობის დადგენა აუდიტზე დათანხმების პროცედურების ფარგლებში ხდება, ხოლო სამუშაო დოკუმენტების დეტალური მიმოხილვა ტარდება ფირმის ხარისხის კონტროლის პროცედურების ფარგლებში.

12. რომელია სწორი ახსნა იმ შეუსაბამოების, რომლებიც გამოვლინდა სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებზე ჩატარებული ანალიზური პროცედურების შედეგებსა და დირექტორის განცხადებას შორის იმის თაობაზე, რომ კომპანიას უჭირს ვალების ამოღება?

- ა გაყიდვებში გაიზარდა მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტების ხვედრითი წილი.
- ბ 20X8 წლის აგვისტოს შემდეგ გაიზარდა ნაღდ ფულზე გაყიდვების ხვედრითი წილი.
- გ 20X8 წლის სექტემბერში გაიზარდა ბრუნვის გადასახადის განაკვეთი.
- დ წლის მანძილზე გაყიდვების მოცულობა თვიური 1%-ით გაიზარდა.

სწორი პასუხია „ბ“. შუალედური აუდიტის შემდეგ ნაღდ ფულზე გაყიდვების ხვედრითი წილის გაზრდა გამოიწვევდა რეალიზაციის მოცულობის გაზრდას (და, მაშასადამე, დებიტორული დავალიანების/მოთხოვნების ამოღების პერიოდის შემცირებას), მაგრამ დებიტორული დავალიანების ზრდა (დირექტორის თქმით, კომპანიას უჭირს ვალების ამოღება) ვერ გამოიწვევდა სავაჭრო დებიტორული დავალიანების/მოთხოვნების ამოღების პერიოდის შემცირებას.

13. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ინფორმაცია უნდა იყოს გამჟღავნებული განმარტებით შენიშვნებში, სათავო ოფისის შენობის გადაფასებასთან დაკავშირებით, თუ აუდიტორმა დაასკვნა, რომ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა ადეკვატურად არის მომზადებული?

- (1) გადაფასების ფაქტობრივი თარიღი.
 - (2) შემფასებლის სახელი და გვარი.
 - (3) გადაფასებით გამოწვეული ღირებულების ზრდა.
 - (4) სათავო ოფისის შენობის საბალანსო ღირებულება თვითღირებულების მოდელით.
- ა მხოლოდ 1-ლი, მე-2 და მე-3
 - ბ მხოლოდ 1-ლი, მე-3 და მე-4
 - გ მხოლოდ მე-2, მე-3 და მე-4
 - დ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4

სწორი პასუხია „ბ“.

გადაფასების ფაქტობრივი თარიღი, გადაფასებით გამოწვეული ღირებულების ზრდა და სათავო ოფისის შენობის საბალანსო ღირებულება თვითღირებულების მოდელით ეს არის ის ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც მოითხოვება განმარტებით შენიშვნებში ბასს 16-ით „ძირითადი საშუალებები“.

საზოგადოებო, სიტუაციური მაგალითში სტუდენტებისგან ითხოვენ შემდეგ ქმედებებს:

მოთხოვნა	მნიშვნელობა
განსაზღვრეთ	გამოყავით შესაბამისი საკითხი/მოსაზრება სცენარიდან.
განმარტეთ/ ახსენით	უფრო ნათლად გააშუქეთ განსახილველი საკითხი დამატებითი დეტალების მეშვეობით.
აღწერეთ/ დაახასიათეთ/ ჩამოაყალიბეთ	პირდაპირ უნდა აღწეროთ, მაგალითად ის პროცედურები, ტესტები, თქვენგან რასაც ითხოვენ, მოკლედ, შინაარსიანად და ნათლად.
განიხილეთ	უნდა იმსჯელოთ კითხვაში მოთხოვნილი საკითხის ირგვლივ და მასთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრება წარმოადგინოთ.
კომენტარი გაუკეთეთ	გამოთქვით მოსაზრება, განიხილეთ საკითხი, გამოხატეთ თქვენი რეაგირება.
შეაფასეთ	განიხილეთ უპირატესობები და ნაკლოვანებები და გამოთქვით საკუთარი საბოლოო მოსაზრება საკითხის ირგვლივ. შეიძლება კითხვაში პირდაპირ იყოს მითითებული, რომ უნდა განიხილოთ უპირატესობები და ნაკლოვანებები და შეაფასოთ, ანუ თქვენი მოსაზრება, დასკვნა წარმოადგინოთ.
კრიტიკულად განიხილეთ	სიღრმისეულად განიხილეთ საკითხი და გამოიტანეთ საკუთარი დასკვნა.
დაასაბუთეთ	გამოიტანეთ დასკვნა და დაასაბუთეთ ძლიერი არგუმენტები, რის საფუძველზეც მიიღეთ გადამწყვეტილება.

სტუდენტებმა უნდა იცოდნენ საგამოცდო ტერმინოლოგია და, შესაბამისად, პასუხის სტრუქტურა. თუ გარკვეულ დროს დაუთმობთ მოთხოვნის ზუსტი ტექსტის კარგად გააზრებას, თქვენი პასუხი დააკმაყოფილებს კითხვას.

მიაქციეთ ყურადღება. პროფესიული და უმაღლესი დონის მოდულების გამოცდებზე ძალიან მცირე ოდენობის ქულებს თუ მოაგროვებთ (ან საერთოდ ვერანაირს) სასწავლო თეორიული მასალის დაზეპირებითა და ფაქტების ან წესების პირდაპირ ჩამოთვლით. მაღალი ქულების მისაღებად თქვენი ცოდნა უნდა მიუსადაგოთ კონკრეტულ სცენარს და პასუხი ამის საფუძველზე ჩამოაყალიბოთ.

ქულები პასუხის კვალიფიციურად, პროფესიონალურად წარდგენისთვის

ACCA-ის კვალიფიკაციაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება „ეთიკასა და პროფესიონალიზმს“ და ყველა დონის გამოცდაზე გარკვეული ქულები ეთმობა ამ თემას. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების ორივე დონის გამოცდაზე მოსალოდნელია, რომ სიტუაციურ მაგალითებზე დაფუძნებულ კითხვებში, რომელიც პასუხის კვალიფიციურად, პროფესიონალურად მომზადებასთან დაკავშირებულ ქულებსაც მოიცავს, პასუხის გაცემას მოგთხოვენ გარკვეული ფორმატით, მაგალითად ანგარიშის ან მოკლე შენიშვნების სახით. პროფესიონალიზმისთვის ქულები მოგენიჭებათ:

- პასუხის სტრუქტურასა და ფორმატზე;
- ახსნის სიცხადეზე, მსჯელობის ლოგიკურობაზე;
- საკითხის შესაფერისი ტერმინოლოგიის გამოყენებაზე;
- პროფესიული განსჯის გამოყენებაზე;
- განსახილველი საკითხის ორივე მხარის (დადებითი და უარყოფითი) განხილვაზე;
- პროფესიული საკითხების სათანადოდ შეფასებაზე.

სიტუაციური მაგალითის ინფორმაცია

როდესაც წაიკითხავთ კითხვაში მოცემულ მოთხოვნებს და ზუსტად გაიგებთ, თქვენ-
გან რას ითხოვენ, ამის შემდეგ აუცილებლად გულდასმით უნდა წაიკითხოთ სცენარში
მოცემული ინფორმაცია და პასუხის დამთავრებამდე გახსოვდეთ მოთხოვნებში მოცე-
მული მითითებები.

სავარაუდოდ, სცენარში მოცემული იქნება როგორც რიცხობრივი, ისე ტექსტური ინ-
ფორმაცია, რომელიც სხვადასხვა წყაროდან იქნება აღებული, ასე, მაგალითად:

- ამონარიდები ფინანსური ანგარიშგებიდან;
- ინფორმაცია მართვის სისტემებიდან;
- აუდიტორის სამუშაო დოკუმენტებიდან ამოღებული დეტალები;
- დამკვეთისგან ან აუდიტის/მარწმუნებელი მომსახურების შემსრულებელი გუნდის
წევრებისგან მიღებული სიტყვიერი ინფორმაცია;
- მესამე მხარეთა მოსაზრებები (დოკუმენტები) და სხვ.

აუცილებელია, სცენარში მოცემული ინფორმაცია კარგად წაიკითხოთ. ასევე მნიშ-
ვნელოვანია, რომ საკმარისი დრო დაუთმოთ ამ ინფორმაციის სისტემატიზაციას და
გაგებას. თუ ზერელედ წაიკითხავთ ინფორმაციას და არ გაიაზრებთ სცენარში აღწე-
რილ საკითხებს, ალბათ, თქვენი პასუხი ვერ იქნება სათანადოდ კონცენტრირებული
სცენარზე და გამოგრჩებათ მთავარი საკითხები.

ამგვარად, როდესაც კითხულობთ სიტუაციური მაგალითის სცენარს, მნიშვნელოვა-
ნია, განსაზღვროთ შემდეგი:

- რა როლი გაქვთ თქვენ?
- მაგალითად, აუდიტზე პასუხისმგებელი მენეჯერი ხართ, თუ ფირმის დონეზე
ხართ პასუხისმგებელი ეთიკის ან ხარისხის კონტროლის საკითხებზე?
- რა დრო გაქვთ მოცემული? დავალებას გეგმავთ დამკვეთის საანგარიშგებო წლის
დამთავრებამდე, თუ სამუშაო დოკუმენტებს იხილავთ აუდიტის დასრულების
ეტაპზე?
- რა საქმიანობას ეწევა დამკვეთი? პროდუქციას აწარმოებს, მომსახურების დარგის
ორგანიზაციაა თუ საფინანსო მომსახურებას ეწევა? არის თუ არა დამკვეთის საქ-
მიანობის სფერო მკაცრად რეგულირებადი დარგი?
- რა ძირითადი კავშირ-ურთიერთობებია მოცემული სცენარში? ეს კომპანია ძველი
დამკვეთია თუ პოტენციური? დავალება/გარიგება ერთჯერადია თუ პერიოდული
(განმეორებადი)?

ზემოთ ჩამოთვლილი მთავარი ფაქტების გარკვევა დაგეხმარებათ იმაში, რომ კითხვა-
ში მოცემულ მოთხოვნებზე სწორი აზრი შეიქმნათ.

სცენარის წაკითხვის დროს სასარგებლოა, თუ გახაზავთ ინფორმაციის მნიშვნელო-
ვან ნაწილებს. ასევე კარგი იქნება, თუ პასუხის დაგეგმვამდე რამდენჯერმე გადაი-
კითხავთ სცენარს.

პასუხის დაგეგმვა და დროის განაწილება

სიტუაციური მაგალითის ტიპის შეკითხვა სულ მცირე სამ განსხვავებულ მოთხოვნას
მოიცავს ხოლმე. ამ მოთხოვნებზე დრო უნდა გაანაწილოთ, რათა დარწმუნდეთ, რომ
თითოეულ მათგანს საკმარისი დრო დაუთმეთ. რომელიმე მოთხოვნაზე არადამაკმა-
ყოფილებელი პასუხის გაცემა ნამდვილად შეამცირებს კითხვისთვის განკუთვნილ ქუ-
ლების რაოდენობას და იმოქმედებს პასუხის მთლიან ხარისხზეც.

გახსოვდეთ, ნებისმიერ მოთხოვნაში იქნება ისეთი საკითხი, რომელზეც ადვილია ქულების მოგროვება, მაგრამ თუ რომელიმე მოთხოვნას საერთოდ უგულებელყოფთ, ეს ქულები დაგეკარგებათ.

შეიძლება გაგიჩნდათ კითხვა – ღირს კი პასუხის დაგეგმვა? ამ კითხვის პასუხი მარტივია – დიახ, თუკი გეგმა ძალიან დეტალიზებული არ არის და, მაშასადამე, მისი შესრულება შეიძლება. მთავარ საკითხებზე ორიენტირებული მოკლე გეგმა საშუალებას მოგცემთ, აქცენტი გადაიტანოთ კითხვაში მოცემული მოთხოვნების ძირითად ელემენტებზე და თემიდან არ გადაუხვევთ. კარგად გააზრებულ გეგმაში წინა პლანზე წამოწეულია ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. ეს არსებითია, რადგან თუ დრო არ გეყოფათ, პასუხში მთავარ საკითხებს მაინც მოიცავთ. გარდა ამისა, კარგად გააზრებულ გეგმაში ჩანს სცენარში მოცემული ინფორმაციის სხვადასხვა ნაწილს შორის კავშირები. ამასთან, დაგეგმვას მაშინ აქვს ფასი, თუ გეგმა პასუხს გააუმჯობესებს. თუ ბევრ დროს დაუთმობთ დეტალიზებული გეგმის შედგენას, ცოტა დრო დაგრჩებათ კითხვის მოთხოვნებზე დეტალური პასუხის გასაცემად და ეს არ იქნება საგამოცდო დროის ეფექტიანი გამოყენება.

გეგმა უნდა იყოს ძალიან მოკლე, არა უმეტეს კითხვაში მოცემული პუნქტებისა. ამავე დროს, ნათლად ჩამოყალიბებული ისე, რომ შეუძლებელი იყოს მისი არევა პასუხთან.

მითითება დროის განაწილებაზე. დიდი შეცდომაა ბევრი დროის დათმობა რომელიმე ერთი კითხვისთვის და ცოტა დროის მოტოვება დანარჩენი კითხვებისთვის. აუცილებელია, ყველა კითხვაზე სცადოთ პასუხის გაცემა და საკმარისი დრო დაგრჩეთ გამოცდის დასრულებამდე ბოლო კითხვაზე პასუხის გასაცემად. შეგახსენებთ, რომ გამომცდელი მთელი პასუხის ხარისხს განიხილავს და ყურადღებას მიაქცევს იმ კითხვების რაოდენობას, რომელზეც პასუხი გაეცით.

დრო დაუთმეთ ფიქრს

შეიძლება ეს ძალიან ხმამაღალ ნათქვამად მოგეჩვენოთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ დრო დაუთმოთ კითხვის მოთხოვნებზე, სცენარზე ფიქრს. კარგად გაიაზრეთ, როგორ უნდა უპასუხოთ კითხვას. შეცდომა იქნება, პირდაპირ აიღოთ კალამი და ქაღალდზე პასუხის გაცემა დაიწყოთ ისე, რომ კარგად არ გაიაზროთ პასუხი. სტუდენტები ხშირად უშვებენ გამოცდაზე ამ შეცდომას. ქვემოთ დავასახელებთ იმის მაგალითებს, რა შეიძლება მოჰყვეს მოუფიქრებლად პასუხის გაცემას ისე, რომ კარგად არ გაიაზროთ სცენარში აღწერილი ფაქტები ან კითხვის მოთხოვნა.

თუ სათანადოდ არ წაიკითხავთ და არ გაიგებთ კითხვის მოთხოვნებს, შედეგი თქვენთვის სავალალო აღმოჩნდება:

- სათანადოდ ვერ გაიაზრებთ კითხვის ნამდვილ მოთხოვნას და ამიტომ პასუხიც შეუფერებელი იქნება. სტუდენტების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ხშირად ის არის, რომ ზუსტად არ პასუხობენ კითხვას. თუ ამას გავითვალისწინებთ, ამკარაა, რომ სტუდენტები ხშირად ზერელედ კითხულობენ კითხვაში მოცემულ მოთხოვნას და ჰგონიან, რომ ის რომელიღაც წინა საგამოცდო კითხვის ან სავარჯიშო კითხვის იდენტურია. ამის შედეგად, მათი პასუხი არ არის კითხვაში მოცემული სპეციფიკური ინფორმაციის შესატყვისი;
- ისეთი კომენტარების გაკეთება, რომლებიც სხვა კითხვის მოთხოვნას ეხება, შეცდომაა და ამგვარი მიდგომით შეიძლება ვერანაირი ქულა ვერ მოიპოვოთ. მნიშვნელოვანია, ყურადღება მიაქციოთ იმას, თუ როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა მოთხოვნა, რათა დარწმუნდეთ, რომ პასუხი ლოგიკურია და თქვენი კომენტარები ზუსტად მოცემულ მოთხოვნას ეხება.

თუ სცენარს გულდასმით არ წაიკითხავთ, ან სცენარში მოცემულ ინფორმაციას ერთიანობაში არ გაიაზრებთ, ამ შემთხვევაშიც შედეგი თქვენთვის სავალალო იქნება:

- შეუფერებელ მოსაზრებებს გამოთქვით, რადგან ნათლად და პროფესიონალურად არ გაიაზრეთ აუდიტის/მარნმუხნებელი მომსახურების შემსრულებელ ფირმასა და დამკვეთს შორის ურთიერთობას. უმაღლესი დონის გამოცდებზე, ნებისმიერ მოდულში, გამომცდელი მარტო ტექნიკურ მოსაზრებებს კი არ ამოწმებს, არამედ თქვენს უნარს – მიიღოთ კომერციული და პროფესიული გადანყვეტილებები და მოამზადოთ პროფესიული რეკომენდაციები. ეს არის ერთ-ერთი სფერო, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სცენარში მონაწილე პირებს შორის კავშირ-ურთიერთობებზე ყურადღების გამახვილებას და კარგად გააზრებას. მაგალითად, თუ სტუდენტს მინიჭებული აქვს აუდიტის მენეჯერის ან პარტნიორის როლი, მნიშვნელოვანია, არ იფიქროთ ისე, როგორც გუნდის უმცროსს პერსონალს ევალება. ასევე, თავიდან უნდა აიცილოთ დამკვეთისთვის შეუფერებელი შენიშვნების მიცემა, შეუფერებელი კითხვების დასმა ან დაკვეთისგან შეუფერებელი ინფორმაციის მოთხოვნა. ამას მაშინ შეძლებთ, თუ კარგად გაიაზრებთ ამ ურთიერთობის ხასიათს და როგორ უნდა ხდებოდეს მისი მართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ძალიან იმოქმედებს პასუხის ხარისხზე. მაგალითად:
 - დამკვეთი კომპანიის ხელმძღვანელობას არ უნდა ჰკითხოთ, არიან თუ არა კეთილსინდისიერები ან სხვა მსგავსი რამ;
 - აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად არ უნდა ითხოვოთ უკვე გაყიდული აქტივის ფიზიკური შემოწმება, ან შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურა მოითხოვოთ ისეთი რამის, რაც მრავალი წლის წინ იყიდეს. კარგად გაიაზრეთ თქვენი მოთხოვნები ან რეკომენდაციები და თქვენს თავს ჰკითხეთ, სინამდვილეში შეიძლება თუ არა მათი შესრულება;
 - რომელიმე სიტყვის წაკითხვა და უბრალოდ იმის დაშვება გაუაზრებლად, რომ ეს რალაცას ნიშნავს, როდესაც სინამდვილეში სრულიად სხვას ნიშნავს – არის სტუდენტებისთვის დამახასიათებელი ყველაზე გავრცელებული შეცდომა და პირდაპირ იმის შედეგია, რომ პასუხის დაწერამდე სტუდენტმა არ იფიქრა. მაგალითად, თუ სცენარში მოცემულია ინფორმაცია ჯარიმების ან საურავების შესახებ, იმაზე უნდა იფიქროთ, მათი გადახდა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებამდე მოხდა თუ არა. ნაცვლად იმისა, რომ სცენარის ფაქტების გაუაზრებლად პირდაპირ გადანყვიტოთ, რომ აუცილებელია ანა-რიცხების შექმნა;
 - როდესაც გამოთვლებს ატარებთ, აუცილებლად იფიქრეთ სცენარში მოცემულ ციფრებზე: სწორი ციფრები გამოიყენეთ და შესაფერისი გამოთვლები ჩაატარეთ. მაგალითად, როდესაც არსებითობის დონეს ითვლით, დარწმუნდით, რომ სწორი ბაზა შეარჩიეთ გამოთვლებისთვის. თუ აქტივისთვის ითვლით არსებითობას, არსებითობის დონის გამოთვლა უნდა ეყრდნობოდეს აქტივების ნაშთს და არა ამონაგებს, რადგან ეს სრულიად და აშკარად შეუფერებელია და საღ აზრს მოკლებული.

პასუხის ფორმატი

უთქმელადაც ნათელია, რომ პასუხები უნდა იყოს ნათლად და გასაგებად წარმოდგენილი, რადგან ამით გამომცდელს უადვილდება პასუხის შეფასება. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი რჩევები:

- ლოგიკური პასუხის გასაცემად გამოიყენეთ სათაურები და ქვესათაურები;
- უსათაურო ნუმერაცია მხოლოდ მაშინ იქნება მისაღები, როდესაც საჭიროა ისეთი ფაქტების ჩამოთვლა, რომლებიც მცირე ახსნას საჭიროებს, რაც შეიძლება იშვიათად შეგხვდეთ ამ საგნებში;
- გაუგებარი ხელწერა ხშირად მთავარი პრობლემაა შემფასებლისთვის. ეს არ დაგავიწყდეთ!
- თითოეული პასუხი ახალი ფურცლიდან დაიწყეთ.

გახსოვდეთ, კითხვაში მოცემული ზოგიერთი მოთხოვნა პროფესიონალიზმისთვის მიკუთვნებულ ქულებსაც შეიცავს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ტიპის პასუხისთვის კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პასუხის წარმოდგენის ფორმასა და სტრუქტურას.

ახლა განვიხილოთ რამდენიმე სიტუაციურ მაგალითზე დაფუძნებული კითხვა წინა წლების საგამოცდო მასალიდან, საგამოცდო კითხვების ტიპური მოთხოვნების საილუსტრაციოდ, რომლებიც პატარა ცხრილის სახით ზემოთ იყო წარმოდგენილი:

1-ლი მაგალითი

- ა) ასს 560-ში – „შემდგომი მოვლენები“ – ახსნილია, რა სახის სამუშაოს შესრულება ევალება აუდიტორს ფინანსური ანგარიშგების აუდიტში შემდგომ მოვლენებთან დაკავშირებით.

მოგეთხოვებათ:

აღწეროთ აუდიტორული პროცედურები, რომლის ჩატარებაც ევალება აუდიტორს აუდიტორული დასკვნის ხელმოწერამდე ისეთი მოვლენების დასადგენად, რომლებიც შეიძლება მოითხოვდეს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტებას. (5 ქულა)

- ბ) თქვენ ხართ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის, „ოილის“ აუდიტორი, რომელიც მოიპოვებს, გადაამუშავებს და ყიდის ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს.

„ოილის“ 20X9 წ. 30 ივნისს დასრულებული წლის აუდიტში გამოვლინდა შემდეგი მოვლენები:

თარიღი	მოვლენა
20X9 წ. 15 აგვისტო	მთავარი კლიენტის/მომხმარებლის გაკოტრება, რომლის დავალიანება შეადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სავაჭრო დებიტორული დავალიანების 11 %-ს.
20X9 წ. 21 სექტემბერი	დირექტორებმა დაამტკიცეს ფინანსური ანგარიშგება.
20X9 წ. 22 სექტემბერი	აუდიტორული შემოწმების სამუშაოები დამთავრდა და აუდიტორულ დასკვნას ხელი მოეწერა.
20X9 წ. 1 ნოემბერი	კომპანიის ნავთობის გამწმენდი ქარხნიდან ზღვაში შემთხვევით ჩაღვრილმა მნიშვნელოვანი რაოდენობის მომწამლავმა ნივთიერებებმა სერიოზული ზიანი მიაყენა გარემოს. ხელმძღვანელობამ შეცვალა ფინანსური ანგარიშგება და ეს მოვლენა სათანადოდ განმარტა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.
2009 წ. 23 ნოემბერი	ფინანსური ანგარიშგება გადაეცა „ოილის“ წევრებს (აქციონერებს).
20X9 წ. 30 ნოემბერი	კომპანიის ნავთობის ერთ-ერთ ქაბურღილზე გაჩენილმა ხანძარმა მთლიანად გაანადგურა ქაბურღილი. ახალი ჭის გაბურღვას ათი თვე დასჭირდება, რასაც მოჰყვება ნავთობის წარმოების ზარალი ამ პერიოდის განმავლობაში.

მოგეთხოვებათ:

ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული თარიღისათვის:

- 20X9 წ. 15 აგვისტო;
- 20X9 წ. 1 ნოემბერი; და
- 20X9 წ. 30 ნოემბერი.

- 1) განსაზღვროთ, ამ თარიღების დროს მომხდარი მოვლენები მაკორექტირებელი მოვლენაა თუ არამაკორექტირებელი, ბასს 10-ის – „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ – შესაბამისად და დაასახელოთ არგუმენტები თქვენი გადანყვეტილების დასასაბუთებლად; (6 ქულა)
- 2) განმარტოთ აუდიტორის პასუხისმგებლობა ამ მოვლენებთან დაკავშირებით და აღწეროთ აუდიტორული პროცედურები, რომლებიც უნდა ჩატარდეს. (9 ქულა)

შენიშვნა: ქულები მოგენიჭებათ მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ სამ თარიღზე.

(სულ 20 ქულა)

1-ლი მაგალითის პასუხი

- ა) აუდიტორული დასკვნის ხელმოწერამდე ტარდება შემდეგი აუდიტორული პროცედურები:
 - ხელმძღვანელობის მიერ შემდგომი მოვლენების გამოსავლენად დადგენილი პროცედურების მიმოხილვა;
 - დირექტორთა საბჭოს, აუდიტის კომიტეტის სხდომებისა და აქციონერთა საერთო კრების ოქმების გაცნობა და უჩვეულო მუხლების გამოკვლევა;
 - კომპანიის ბოლო (უახლესი) შუალედური ანგარიშების, ასევე ბიუჯეტებისა და ფულადი ნაკადების პროგნოზების მოპოვება და გაცნობა;
 - თუ შესაძლებელია, დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება კომპანიის აღვოკატებისაგან (იურისტებისაგან) სასამართლო პროცესთან და პრეტენზიებთან (საჩივრებთან) დაკავშირებით;
 - ხელმძღვანელობის გამოკითხვა იმის თაობაზე, მოხდა თუ არა რაიმე შემდგომი მოვლენა, როგორიცაა, მაგალითად:
 - ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ახალი ვალდებულებები;
 - მნიშვნელოვანი აქტივების გაყიდვის შემთხვევები;
 - ახალი აქციების ან სავალ ვალდებულებების გამოშვება;
 - წყალდიდობით, ხანძრით და სხვა ამგვარი მოვლენების შედეგად აქტივების განადგურება, ან მთავრობის მიერ აქტივების კონფისკაცია;
 - ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერებში გაკეთებული ან განზრახული უჩვეულო შესწორებები;
 - მოწმდება, ხომ არ მომხდარა რაიმე ისეთი მოვლენა, რაც საეჭვოს გახდის კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მართებულობას.

ბ) 20X9 წლის 15 აგვისტო

- 1) მთავარი მომხმარებლის გაკოტრება დამატებით მტკიცებულებას უზრუნველყოფს, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული პირობების შესახებ. ეს მომხმარებელი ვერ გადაიხდის ვალს. ამდენად, დებიტორული დავალიანება გადიდებული იქნება, ხოლო უიმედო ვალების ანარიცხები მოგებისა და ზარალის

ანგარიშგებაში – შემცირებული. ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა შესწორდეს დებიტორული დავალიანების თანხა.

- 2) მთავარი მომხმარებელი კოტრდება საანგარიშგებო წლის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და აუდიტორის დასკვნის ხელმოწერამდე. სანამ აუდიტორის დასკვნას ხელი მოეწერება, აუდიტორს პასუხისმგებლობა ეკისრება ისეთი არსებითი მოვლენების დადგენაზე, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა ჩატარდეს სპეციალური აუდიტორული პროცედურები, რომლებიც განკუთვნილია ამგვარი მოვლენების გამოსავლენად, კერძოდ:
 - უნდა დამტკიცდეს, რომ მომხმარებელი არ გადაიხდის ლიკვიდატორისაგან, ან ანალოგიური უფლებამოსილი პირებისაგან მიღებული წერილისათვის;
 - უნდა დადასტურდეს მომხმარებლისგან მისაღები ვალი წლის დამთავრებამდე შექმნილ ანგარიშ-ფაქტურასთან შედარებით და თუ შესაძლებელია, დადებითი პირდაპირი დასტურის წერილით;
 - უნდა ჩატარდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების ნაშთის შესამცირებლად და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში უიმედო ვალების ჩამოწერილი თანხის გასაზრდელად შეტანილი კორექტირების აუდიტი;
 - აუდიტორმა უნდა მოითხოვოს, რომ ხელმძღვანელობის ოფიციალურ წერილში ჩაირთოს დავალიანების თანხა, იმის დასამტკიცებლად, რომ კომპანიას არ ეკუთვნის (არა აქვს მისაღები) სხვა რაიმე თანხა მოცემული მომხმარებლისაგან.

20X9 წლის 1 ნოემბერი

- 1) ზღვაში მომწამლავი ნივთიერებების შემთხვევით ჩაღვრა მოხდა საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ დავუშვებთ, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული არ იყო წლის ბოლოსათვის არსებული მარაგის ნაშთი, ნავთობის ჩაღვრა მიგვანიშნებს ისეთ პირობებზე, რომლებიც შეიქმნა ფინანსური წლის დამთავრების შემდეგ. როგორც ჩანს, აუცილებელი არ არის ფინანსური ანგარიშგების შესწორება. თუმცა, ეს მოვლენა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს კომპანიის საქმიანობისთვის (შეიძლება კომპანიას დიდი ოდენობის თანხის ანაზღაურებაზე წაუყენონ პრეტენზია) და, ამდენად, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ მოვლენის განმარტება.
- 2) ზღვაში მომწამლავი ნივთიერებების შემთხვევითი ჩაღვრა მოხდა აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის შემდეგ, მაგრამ მანამ, სანამ აქციონერებს დაეგზავნებოდათ ფინანსური ანგარიშგება. აუდიტის მოცემულ სტადიაზე, აუდიტორს არ ეკისრება რაიმე პასუხისმგებლობა, სპეციალური პროცედურების ან გამოკითხვების ჩატარებაზე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. „ოილის“ ხელმძღვანელობა არის პასუხისმგებელი იმაზე, რომ აუდიტორს შეატყობინოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი მოვლენა, ამ მოვლენის მსგავსი.

თუმცა, ვინაიდან აუდიტორისათვის ახლა უკვე ცნობილია ზემოაღნიშნული მოვლენა და ეს მოვლენა არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, იმ თვალსაზრისით, რომ მოითხოვება მისი ახსნა ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, აუდიტორმა ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა განიხილოს ეს საკითხი.

ჩასატარებელია შემდეგი სპეციფიკური პროცედურები:

- ქიმიური ნივთიერებების ჩაღვრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხელმძღვანელობისაგან, ადგილობრივი პრესის გაცნობა და თუ შესაძლებელია, ინფორმაციის მოპოვება კომპანიის იურისტებისაგან – ამ უკანასკნელი პრო-

ცედურით შეიძლება გამოვლინდეს, არსებობს თუ არა რაიმე იურიდიული პასუხისმგებლობა ამასთან დაკავშირებით;

- შესაფერისი სააღრიცხვო მეთოდის განხილვა დირექტორებთან ერთად, იმის დასადასტურებლად, რომ ასეთ პირობებში მოითხოვება სათანადო ინფორმაციის გამჟღავნება ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში;
- ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნის გაცნობა იმის დასადასტურებლად, რომ ეს საკითხი სათანადოდ არის ახსნილი ფასს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- განახლებული ოფიციალური წერილის მოპოვება დირექტორებისაგან, სადაც ისინი დამოწმებენ, რომ არ არსებობს სხვა ისეთი მოვლენები, რომელიც ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში ახსნას საჭიროებს;
- აუდიტორის დასკვნის შეცვლა მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაციის დასამატებლად, რათა აუდიტორმა მომხმარებლის ყურადღება გაამახვილოს იმ საკითხის სრულყოფილ ახსნაზე, რომელიც მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაში. აუდიტორის ახალი დასკვნის თარიღი წინ არ უნდა უსწრებდეს შეცვლილი ფინანსური ანგარიშგების თარიღს.

20X9 წლის 30 ნოემბერი

- 1) ხანძარი ნავთობის ჭაბურღილზე იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ფინანსურ წელს „ოილის“ ნავთობის წარმოება და, სავარაუდოდ, მოგებაც დაეცემა. მიუხედავად ამისა, ეს მოვლენა არ ქმნის მტკიცებულებას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებზე, ვინაიდან ამ დროისათვის არ არსებობდა რაიმე სიმპტომი იმისა, რომ ეს მოხდებოდა. ამგვარად, ეს არამაკორექტირებელი მოვლენაა. თუმცა, ფასს სტანდარტების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა განიმარტოს ზემოაღნიშნული მოვლენა, რათა ფინანსურმა ანგარიშგებამ მცდარად არ წარმოაჩინოს საქმის ვითარება.
- 2) ნავთობის ჭაბურღილზე ხანძარი გაჩნდა ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ. ამ დროისათვის, აუდიტორს არა აქვს რაიმე გამოკითხვების ჩატარების ვალდებულება, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. თუმცა, თუ აუდიტორისათვის ცნობილი გახდება ამგვარი მოვლენა, ასს 560-ის თანახმად, აუდიტორმა უნდა განიხილოს თავისი პოტენციური გავლენა აუდიტორის დასკვნაზე.

აუდიტორმა უნდა ჩაატაროს შემდეგი პროცედურები:

- დირექტორთა საბჭოს სხდომების ოქმების, სადაზღვევო მოთხოვნებისა და სხვა მსგავსი დოკუმენტების შემოწმება, რათა დარწმუნდეს, რომ ხანძარი დაზღვევით დაიფარება და არ არსებობს გრძელვადიანი აქტივების შეცვლის ან გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებელი პირობითი ვალდებულება;
- დირექტორების გამოკითხვა იმის თაობაზე, როგორ უნდა აცნობოს აქციონერებს, ამ სიტუაციის შესახებ;
- თუ დირექტორები ფინანსური ანგარიშგების ხელახლა გამოცემას გეგმავენ, აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს მოვლენა სათანადოდ არის ახსნილი ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში;
- თუ დირექტორები არ გეგმავენ ფინანსური ანგარიშგების შეცვლას და თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს საკითხი არსებითია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, თვითონ სცადეთ აქციონერებთან უშუალოდ დაკავშირება, იმ მეთოდების შესაბამისად, რომელიც თქვენს ქვეყანაში არის მისაღები;
- თუ აუცილებელია, აუდიტორი უნდა დაუკავშირდეს თავის იურისტს იმის გასაგებად, რა ზომებს უნდა მიმართოს აუდიტორმა ზემოაღნიშნული განმარტებების უქონლობის გამო ფინანსურ ანგარიშგებაში.

მე-2 მაგალითი

ა) დაახასიათეთ საქონლის შეკვეთის, გაგზავნისა და ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შესაფერისი შიდა კონტროლის მიზნები. (5 ქულა)

ბ) კომპანია „პროგრესის“ ფინანსური წელი მთავრდება 20X9 წ. 30 ივნისს. „პროგრესი“ არის საცალო ვაჭრობის საწარმო, რომელიც ყიდის სამზარეულოს ტექნიკას (როგორიცაა, ჭურჭლის სარეცხი მანქანები, მაცივრები და მიკროტალღოვანი ღუმელები). ყველა გაყიდვა ხორციელდება კომპანიის ვებგვერდის მეშვეობით, კომპანიის ტრანსპორტით მომხმარებლისთვის საქონლის სახლში გაგზავნითა და მიტანის გზით. კომპანია სამზარეულოს ტექნიკას ყიდულობს ბევრი სხვადასხვა მწარმოებლისაგან.

რეალიზაციის პროცესის დახასიათება შესაძლებელია შემდეგნაირად:

- 1) პოტენციური მყიდველები შედიან „პროგრესის“ ვებგვერდზე და არჩევენ მისთვის საჭირო სამზარეულოს ტექნიკას. ვებგვერდის შეკვეთების სისტემაში არსებობს მარაგის სპეციფიკაციის ამსახველი ფაილი, საიდანაც შეიძლება ინფორმაციის მოპოვება იმ პროდუქციაზე, რომელსაც „პროგრესი“ ყიდის;
- 2) როდესაც მომხმარებელი აირჩევს ტექნიკას, შეკვეთის ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ფასს, შეკვეთილ პროდუქტსა და საჭირო რაოდენობას, ინახება შეუსრულებელი შეკვეთების ფაილში;
- 3) საკრედიტო ბარათების დეტალური მონაცემების ოპერატიული უფლებამოსილება ავტომატურად მიიღება მომხმარებლის საკრედიტო ბარათის გამცემი კომპანიიდან, „პროგრესის“ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით;
- 4) ნებართვის მიღების შემდეგ, რეალიზაციის თანხა გადაიტანება კომპიუტერულ ყოველდღიურ რეალიზაციის აღრიცხვის წიგნში, ხოლო ყოველი დღის ბოლოს ამ წიგნიდან მთლიანი ჯამური თანხა გადაიტანება მთავარ წიგნში;
- 5) რეალიზაციის თანხის ანაზღაურება ხდება თითოეული საკრედიტო ბარათის გამცემი კომპანიიდან, ყოველთვიურად, რომელსაც აკლდება საკრედიტო ბარათის კომპანიის საკომისიოს დარიცხვა;
- 6) საკრედიტო ბარათის მოქმედების უფლებამოსილების დადგენის შემდეგ, შეკვეთის ინფორმაცია გადაეცემა გასაგზავნად მომლოდინე საქონლის ფაილს და მიენიჭება მოცემული შეკვეთის საიდენტიფიკაციო საკუთარი კოდი. შეკვეთის ინფორმაცია ავტომატურად გადაეცემა საქონლის გამგზავნი განყოფილების კომპიუტერულ სისტემას;
- 7) საქონლის გამგზავნი განყოფილება საქონელს იღებს ფიზიკურად არსებული მარაგიდან, რომელიც იმყოფება „პროგრესის“ საწყობში და მარაგის კომპიუტერული სისტემა განახლდება. შეკვეთის ინფორმაცია ხელით გადაიტვირთება ლეპტოპში;
- 8) საქონლის მიწოდებისას, მომხმარებელი საქონლის მიღების აღსანიშნავად ხელს აწერს ლეპტოპში. „პროგრესის“ საწყობში დაბრუნებისას, მომხმარებლის ხელმოწერის ნიმუში გადაიტვირთება შეკვეთების ფაილში, რომელსაც დაენერება „შეკვეთა შესრულდა“.

მოცემული წლის აუდიტის დაგეგმვის დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ აუდიტის ჩასატარებლად გამოიყენება არსებითობის შემოწმების/მხოლოდ ძირითადი ტესტების მიდგომა.

მოგეთხოვებათ.

ჩამოაყალიბოთ აუდიტორული ტესტები, რომლებიც უნდა ჩაატაროთ გაყიდვებისა და საქონლის გაგზავნის სისტემასთან დაკავშირებით, ახსნათ თითოეული ტესტის საჭიროების მიზეზი.

(15 ქულა)

(სულ 20 ქულა)

მე-2 მაგალითის პასუხი:

ა) კონტროლის მიზნები

საქონლის შეკვეთა

- საქონელი მიეწოდება მხოლოდ უფლებამოსილ მომხმარებლებს;
- შეკვეთები სწორად აღირიცხება, ფასის, რაოდენობის, მუხლისა და მომხმარებლის მონაცემების მიხედვით.

საქონლის გაგზავნა და ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა:

- შეკვეთები ეგზავნება სათანადო (სწორ) მომხმარებელს;
- ყველა გაგზავნილი საქონელი სწორად აღირიცხება;
- იგზავნება მხოლოდ შეკვეთილი საქონელი და ის საქონელი, რომლისთვისაც მომხმარებელმა გადაიხადა;
- ანგარიშ-ფაქტურები იწერება მხოლოდ კომპანიის მიერ მიწოდებული საქონლისათვის.

ბ) აუდიტორული ტესტები გაყიდვებისა და საქონლის გაგზავნის სისტემისათვის

აუდიტორული ტესტი

თუ აუცილებელია, ტესტური (საცდელი) მონაცემების გამოყენება, „პროგრესის“ ვებგვერდისა და კონკრეტული საქონლის შესახებ შემოსული შეკვეთის მონაცემების შესაფასებლად. თავიდან ბოლომდე გავლის ტესტის ჩატარება ამ შეკვეთის მონაცემებისათვის, შეუსრულებელი შეკვეთების ფაილამდე.

შეუსრულებელი შეკვეთების ფაილიდან შედგენილი შერჩევითი ერთობლიობის ერთეულებისათვის:

- შეკვეთის მონაცემები უნდა შეუდარდეს გასაგზავნად მომლოდინე შეკვეთების ფაილს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ერთი და იგივეა სამზარეულოს ტექნიკის მონაცემები და რაოდენობები;
- ამ მომხმარებლისთვის საქონლის გაყიდვის მონაცემები უნდა შეუდარდეს თვიურ გადახდას, რომელიც მიღებულია საკრედიტო ბარათის გამცემი კომპანიიდან, უნდა შემოწმდეს, რომ მიღებული თანხა არის პროდუქტის ფასს გამოკლებული საკრედიტო ბარათის კომპანიის მიერ დარიცხული საკომისიო.

ტესტის მიზეზი

დავრწმუნდეთ, რომ შეკვეთის მონაცემები სრულყოფილია და სწორად არის აღრიცხული ვებგვერდის პროგრამული უზრუნველყოფის მიერ.

დავრწმუნდეთ, რომ აღრიცხული მონაცემები შეესაბამება ფაილში შეტანილ მონაცემებს.

დავრწმუნდეთ, რომ ვებგვერდის პროგრამული უზრუნველყოფიდან მიღებული მონაცემები სრულყოფილია და სწორად არის გადატანილი გასაგზავნად მომლოდინე შეკვეთების ფაილში.

დავადასტუროთ, რომ ფულადი სახსრები მიღებულია ყველა სახის სამზარეულოს ტექნიკის გაყიდვიდან და, ამდენად, დავადასტუროთ მიღებული ფულის ოდენობის სისრულე და სისწორე.

- რეალიზაციის თანხა უნდა შეჯერდეს რეალიზაციის წიგნის ფაილთან.

გასაგზავნად მომლოდინე საქონლის ფაილის მიმოხილვა ძველი მუხლების გამოსავლენად და გამოკითხვის ჩატარება, რატომ არის ეს მუხლები ისევ ამ ფაილში.

დღეების შერჩევითი ერთობლიობისათვის დავაჯამებთ ყოველდღიური რეალიზაციის წიგნის ფაილს და რეალიზაციის მთლიან მოცულობებს შევუდარებთ ამ დღის მთავარი წიგნის ანგარიშებს.

გასაგზავნად მომლოდინე საქონლის ფაილიდან შედგენილი შერჩევითი ერთობლიობის ელემენტებისათვის, საქონლის გაგზავნის ინფორმაციას შევუდარებთ საქონლის გამგზავნი განყოფილების კომპიუტერში არსებულ ინფორმაციას.

საქონლის გამგზავნი განყოფილების კომპიუტერიდან შედგენილი შერჩევითი ერთობლიობის ელემენტებისათვის:

- მონაცემებს შევუდარებთ გასაგზავნად მომლოდინე საქონლის ფაილის მონაცემებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ თანხვედრა პროდუქციის, მისი რაოდენობისა და მომხმარებლის მონაცემები;
- მონაცემებს შევუდარებთ მარაგის ჩანაწერებს, რათა დავამტკიცოთ, რომ სამზარეულოს ტექნიკის სწორი მონაცემები იყო შეცვლილი;
- შევამოწმებთ, რომ ფაილში არსებული მომხმარებლების ხელმოწერები თანხვედრა ლეპტოპში დაფიქსირებულ მიღებულ საქონელს;

დავადასტუროთ, რომ რეალიზაციის თანხები არ არის შემცირებული ან გადიდებული რეალიზაციის/გაყიდვების წიგნში, მთავარ წიგნში ან ფინანსურ ანგარიშგებაში.

დავრწმუნდეთ, რომ გავარკვეთ მიზეზები, რის გამოც შეკვეთები არ დამუშავდა. დიდი რაოდენობის ძველი მუხლების არსებობა შეიძლება იმაზე მეტყველებდეს, რომ პრობლემები არსებობს საკრედიტო ბარათის ნებართვების სისტემებში, რაც ასევე საჭიროებს გამოკვლევას.

შევამოწმოთ ყოველდღიური რეალიზაციის წიგნის რიცხობრივი სისწორე და გატარებების გადატანის სისწორე მთავარი წიგნის ფაილში.

დავადასტუროთ, რომ შეკვეთის მონაცემები სრულყოფილია და ზუსტად არის გადაცემული საქონლის გამგზავნი განყოფილებისათვის.

დავრწმუნდეთ, რომ საქონლის გაგზავნის ინფორმაცია სწორია და თვითონ საქონლის გაგზავნის ჩანაწერები ეხება უფლებამოსილ და რეალურ რეალიზაციას.

დავრწმუნდეთ, რომ მარაგის სისტემა სწორად აღრიცხავს შეკვეთილ სამზარეულოს ტექნიკას და მარაგის სისტემა ისევ სწორია.

დავადასტუროთ, რომ არსებობს მტკიცებულებები საქონლის მიღებაზე, რაც, თავის მხრივ, იმას დამტკიცებს, რომ საქონელი მონოდებული იყო.

საქონლის გამგზავნი განყოფილების კომპიუტერიდან შერჩევითი ერთობლიობის ელემენტებისათვის განვიხილავთ, რომ არსებობს მტკიცებულებები მომხმარებლებისათვის საქონლის მიწოდებაზე. იქ, სადაც არ იარსებებს საქონლის მიწოდების ინფორმაცია, გამოვიკვლევთ ჩანაწერებს და ამის მიზეზებს.

საქონლის გამგზავნი განყოფილების კომპიუტერის ფაილებიდან განვიხილავთ მუხლებს, რომლებსაც არა აქვს მიწერილი „შეკვეთა შესრულდა“. გამოვიკვლევთ ამ მუხლებს და შეკვეთის შეუსრულებლობის მიზეზებს.

დავრწმუნდეთ, რომ საქონელი მიღებულია და კომპანიაში არსებობს და გამოიყენება პროცედურები, რომლებიც იკვლევს საქონლის არგამგზავნის ან არმიღების შემთხვევებს.

დავრწმუნდეთ, რომ საქონლის გამგზავნის პროცესი სწორად ფუნქციონირებს და არასრულყოფილი მუხლებისთვის გამოკვლევა ტარდება.

შენიშვნა სტუდენტებისათვის. პასუხის აქცენტი გადატანილი უნდა იყოს ძირითად ტესტებზე. დასაშვებია მსჯელობა კონტროლის ტესტებზეც, როდესაც ისინი განსახილველ სისტემას უკავშირდება.

შემდეგ მაგალითებში სხვადასხვა საგამოცდო კითხვიდან ამოკრებილია ცალკეული მოთხოვნები, საგამოცდო კითხვების ზემოთ ჩამოთვლილი ტიპური მოთხოვნების საილუსტრაციოდ და შეიძლება კითხვაში არ იყოს მოყვანილი აღწერილი მთელი სცენარის ტექსტი, თუ ეს აუცილებელი არ არის განსახილველი კითხვის მოთხოვნისთვის.

მე-3 მაგალითი

- ა) აუდიტორებს მოეთხოვებათ, სამუშაო დოკუმენტებში ასახონ კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემები, ფინანსური ანგარიშგების აუდიტში ჩასატარებელი პროცედურების ფარგლებში. არსებობს შიდა კონტროლის სისტემების დოკუმენტირების ორი მეთოდი: ნარატიული შენიშვნები და კითხვარები.

მოგეთხოვებათ:

თითოეული მეთოდისთვის – ნარატიული შენიშვნები და კითხვარები:

- (1) აღწეროთ შიდა კონტროლის სისტემების დოკუმენტირების მეთოდი; და
- (2) ახსნათ ამ მეთოდის გამოყენების უპირატესობა.

შენიშვნა: ქულები თანაბრად განაწილდება თითოეულ კითხვაზე.

(4 ქულა)

პასუხი.

ა) სისტემების დოკუმენტირება:

ნარატიული შენიშვნები:

აღწერა

ნარატიული შენიშვნები გულის-ხმობს სისტემის წერილობით აღწერას. აღწერაში დეტალურად არის ნაჩვენები, რა ხდება სისტემაში თითოეულ ეტაპზე და ასევე მოიცავს იმ კონტროლის პროცედურების აღწერასაც, რომლებიც გამოიყენება თითოეულ ეტაპზე.

უპირატესობა

მარტივია ამ მეთოდით სისტემის აღწერა. კომპანიის თანამშრომლებთან ერთად განხილვის შემდეგ ადვილია განხილვის შედეგების გადმოტანა წერილობით დოკუმენტში, შენიშვნების სახით. ამგვარი აღწერა აუდიტის გუნდის ყველა წევრს ეხმარება დამკვეთის შიდა კონტროლის სისტემის შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში, განსაკუთრებით უმცროს წევრებს, რომლებსაც შეიძლება უფრო გაუჭირდეთ სხვა მეთოდების გამოყენება/გაგება.

კითხვარები

აღწერა

შიდა კონტროლის კითხვარები ან შიდა კონტროლის შეფასების კითხვარები შეიცავს შეკითხვების სიას, თითოეული ძირითადი საოპერაციო ციკლის შესახებ. შიდა კონტროლის კითხვარები გამოიყენება იმის შესაფასებლად, არსებობს თუ არა კონტროლის მექანიზმები/პროცედურები, ხოლო შიდა კონტროლის შეფასების კითხვარების მეშვეობით ფასდება არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობა.

უპირატესობა

კითხვარების უპირატესობა ისაა, რომ სწრაფად შეიძლება მათი მომზადება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უფრო ადვილი და ნაკლებად შრომატევადი მეთოდია სისტემის დოკუმენტირებისთვის. კითხვარები უზრუნველყოფს იმის გარანტიას, რომ სისტემაში არსებული/მოქმედი კონტროლის ყველა პროცედურა იქნება განხილული და დოკუმენტირებული. მაშასადამე, არარსებული კონტროლის პროცედურები ან სისტემის ნაკლოვანებები თვალსაჩინოდ ნათელი გახდება აუდიტის გუნდის წევრებისთვის.

მე-4 მარაგითი

„ბარი“ არის საინვესტიციო კომპანია

მას აქვს შიდა აუდიტის პატარა განყოფილება (4 თანამშრომელი), რომელიც, ძირითადად, ორიენტირებულია ფინანსურ აუდიტზე. კომპანიას გარე აუდიტორულ მომსახურებას უწევს თქვენი ფირმა. ამჟამად მიწვეული ხარტ „ბარში“ შიდა აუდიტისა და მიმოხილვის სამუშაოების ჩასატარებლად – შეგიძლიათ ითანამშრომლოთ კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილების ჯგუფთან, ან მთლიანად ფირმამ თავის თავზე აიღოს ამ ფუნქციის შესრულება.

მოგეთხოვებათ

გ) შეაფასოთ, რა უპირატესობები და ნაკლოვანებები გააჩნია გარეშე წყაროებით (აუთოსორსინგი) შესრულებულ შიდა აუდიტორულ მომსახურებას (ხუთ-ხუთი მოსაზრება). (6 ქულა)

პასუხი:

გ) გარე წყაროებით ჩატარებული შიდა აუდიტის უპირატესობები და ნაკლოვანებები უპირატესობები

- შიდა აუდიტორული მომსახურების შემსრულებელი გარე ფირმის აქცენტი უფრო მეტად კონცენტრირებულია დანახარჯებსა და მწარმოებლურობაზე;
- შიდა აუდიტის ჩასატარებლად უფრო მეტია, ფართო გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა;
- ნაკლებია შიდა აუდიტორთა პერსონალის მაღალი დენადობის ან დანაკარგების რისკი;
- განსაკუთრებით მოხერხებულია სპეციალისტების, ძვირად ღირებული კვალიფიციური შრომის მოსაზიდად, მაგალითად ისეთის, როგორიც კომპანია „ბარს“ ესაჭიროება;
- შიდა აუდიტორულ მომსახურებაზე მოკლევადიანი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია, მთელი წლის განმავლობაში დანახარჯების განევის გარეშე (დანახარჯების ეკონომია).

ნაკლოვანებები

- არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა;
- შიდა აუდიტის ჩატარებასთან დაკავშირებული დანახარჯების გამო, შესაძლოა ზიანი მიადგეს (ზენოლა განიცადოს) აუდიტორების დამოუკიდებლობას;
- გარე წყაროებზე დაფუძნებულმა „განყოფილებამ“ შესაძლოა ზენოლა განიცადოს ხელმძღვანელობის მხრიდან იმის მუქარით, რომ აღარ განახლებს ხელშეკრულებას, ან მთლიანად არ გადაუხდის საფასურს;
- არსებობს რისკი იმისა, რომ გარე მომსახურე ორგანიზაციას არ ექნება კომპანიის ბიზნესისა და კულტურის ღრმა ცოდნა იმ დონის, რაც ექნებოდა კომპანიაში არსებულ შიდა აუდიტის განყოფილებას;
- საპირისპირო მიზნები და კულტურა აქვს გარე ორგანიზაციის მიერ შესრულებულ მომსახურებას და კომპანიას, რომელიც ამ მომსახურებას იღებს;
- არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ დანახარჯები გაიზრდება, ან შიდა აუდიტზე დახარჯული დრო შემცირდება.

მე-5 მაგალითი

მრავალი მიზეზი განაპირობებს ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის აუცილებლობას. დებიტორული დავალიანება (მოთხოვნების ციკლი) ერთ-ერთი იმ სფეროთაგანია, სადაც ორგანიზაციებს სურთ, რომ ეფექტიანად მუშაობდეს მათი შიდა კონტროლის პროცედურები.

მოგეთხოვებათ

- ბ) განიხილოთ, რატომ არ შეუძლია ეფექტიან შიდა კონტროლის სისტემასაც კი ყოველთვის თავიდან აიცილოს ან გამოავლინოს შეცდომები, ინფორმაციის გამოტოვებისა და აქტივების უკანონო მითვისების შემთხვევები დებიტორული დავალიანების სისტემაში; ამასთან, ისიც განმარტოთ, რატომ არის მნიშვნელოვანი აუდიტორებისათვის, რომ დამკვეთ სამეურნეო სუბიექტში ფუნქციონირებდეს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა;

(4 ქულა)

- გ) წარმოიდგინეთ, რომ მიმდინარე აუდიტში თქვენ გევალებათ დებიტორული დავალიანებების აუდიტის ჩატარება. აღწერეთ, რა სამუშაოს ჩატარებით დებიტორული დავალიანების დასადასტურებლად გაგზავნილ ცირკულარულ წერილებზე პასუხების მიღების შემდეგ, თუ:
- (i) მომხმარებელი არ ეთანხმება ნაშთს და გიგზავნით სხვა ნაშთს;
 - (ii) მომხმარებლისაგან დასტურის მოთხოვნის პასუხი არ მოვიდა და პასუხის მიღების ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. (6 ქულა)

პასუხი:

ბ) თანდაყოლილი შეზღუდვები/ნაკლოვანებები

- (i) არ არსებობს სრულყოფილი კონტროლის სისტემა, ანუ ყველა კონტროლის სისტემას თანდაყოლილი ნაკლოვანებები ახასიათებს. ეს ნიშნავს, რომ აუდიტორები ვერასდროს ვერ დაეყრდნობიან მარტო შიდა კონტროლის სათანადო მუშაობას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სისტემის ტესტირებიდან ჩანს, რომ სისტემა სრულყოფილად მუშაობს, აუდიტორებს, ასს-ების თანახმად, მაინც ევალებათ გარკვეული ძირითადი ტესტების ჩატარება;
 - (ii) მანუალურ ან შერეულ სისტემებში თანდაყოლილი ნაკლოვანება მოიცავს „ადამიანურ შეცდომასაც“. ადამიანები ამუშავენ კონტროლის სისტემებს ან გარკვეულ პროცედურებს ასრულებენ და ადამიანები შეცდომებს უშვებენ;
 - (iii) მეორე თანდაყოლილი ნაკლოვანება არის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება. მაგალითად, შეიძლება ყალბი ანგარიშ-ფაქტურების შექმნა წლის ბოლოს, რათა გაუმჯობესდეს რეალიზაციის მონაცემები, ან ყალბი მაკორექტირებელი ფაქტურების შექმნა და შემდეგ მათი გაუქმება ზუსტად წლის დამთავრების შემდეგ;
 - (iv) თაღლითური შეთანხმების ორგანიზება შესაძლებელია როგორც თვითონ კომპანიაში, ისე მის გარეთ. მას, ვისაც მაკორექტირებელი ფაქტურების გამოწერის უფლება აქვს, შეუძლია ყალბი მაკორექტირებელი ფაქტურების გამოწერა თავისი მეგობარი მომხმარებლებისთვის. ისინი, ვისაც ხელი მიუწვდება ფულად სახსრებსა და დებიტორული დავალიანების ჩანაწერების წარმოებაზე, შეიძლება ფარულად შეთანხმდნენ და ფულადი სახსრები მიითვისონ, ხოლო ბუღალტრულ ჩანაწერებში ყალბი გატარებები გააკეთონ ამ ფაქტის მისაჩქმალად.
- გ) როდესაც მივიღებ ცირკულარული წერილების პასუხებს დებიტორული დავალიანების დადასტურებაზე, უნდა დავრწმუნდე, რომ კონვერტზე დასმული საფოსტო ბეჭედი ემთხვევა მომხმარებლების მისამართს. მხოლოდ ამის შემდეგ ჩავატარებ აუდიტორულ სამუშაოს:
- (i) თუ მომხმარებელი არ ეთანხმება ნაშთს და სხვა ნაშთს (შეთანხმებულს/დასაბუთებულს) წარმოადგენს, არსებობს იმის ალბათობა, რომ განსხვავება გამომწვეული იქნება „საქონელი გზაში“ და/ან „ფულადი გზავნილები გზაში“ მუხლების არსებობით.

საქონელი გზაში (ანუ უფრო ზუსტად, „ანგარიშ-ფაქტურა“ გზაში) ისეთი ანგარიშ-ფაქტურებია, რომლებიც გატარებულია მომხმარებლის ანგარიშზე დებიტორული დავალიანების წიგნში, მაგრამ თავად მომხმარებელს არ გაუტარებია თავისი კრედიტორული დავალიანების წიგნში. თუ ამგვარი მუხლები საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღის მახლობელ პერიოდს უკავ-

შირდება, არსებობს იმის ალბათობა, რომ განსხვავება გამოწვეული იქნება იმით, რომ მომხმარებელს ჯერ არ დაუშუშავებია თავისი შესყიდვის ანგარიშ-ფაქტურები და ამიტომ არ გაუტარებია კრედიტორული დავალიანების წიგნი. მე უნდა დავამტკიცო, რომ საქონელი მომხმარებელს წლის დამთავრებამდე გაეგზავნა. ამ მიზნით შევამოწმებ მოცემული საქონლის გასავლის ზედდებულის თარიღს. საქონლის გაგზავნის თარიღის შემოწმება სხვა გზითაც შეიძლება. კერძოდ, იმ სატრანსპორტო სააგენტოს ანგარიშ-ფაქტურებიდან, რომელსაც დაევალა საქონლის ტრანსპორტირება და იმ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც მომხმარებელი დაადასტურებს საქონლის მიღებას. თუ ანგარიშ-ფაქტურაზე დასმული თარიღი წლის დამთავრების წინა ორ კვირაზე უფრო ადრინდელი თარიღია, მაშინ უფრო მოსალოდნელია, რომ ეს სადავო ანგარიშ-ფაქტურები იქნება. მე შევეკითხები მათ შესახებ სავაჭრო კრედიტის კონტროლიორს და გადავწყვეტ, არსებობს თუ არა რისკი იმისა, რომ ანგარიშ-ფაქტურის მთელი თანხა არ დაიფაროს. შეიძლება მომხმარებელსაც დავუკავშირდე და შევეკითხო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ. ამგვარი გამოკვლევების შემდეგ უკვე გადავწყვეტ, მოცემული გზაში მყოფი ანგარიშ-ფაქტურების თანხები არის თუ არა ამოღებადი, თუ მათთვის საჭიროა ანარიცხების შექმნა.

ფულადი გზავნილები გზაში — ეს არის მომხმარებლის კრედიტორული დავალიანების წიგნი გატარებული ჩეკები, რომლებიც ჯერ არ არის აღრიცხული აუდიტის დამკვეთი კომპანიის დებიტორული დავალიანების წიგნი. მე შევამოწმებ, რომ ჩეკები ასახული იყოს დამკვეთის დებიტორული დავალიანების წიგნი კრედიტის მხარეს, წლის დამთავრების შემდეგ. თუ ჩეკი მნიშვნელოვანი დაგვიანებით არის გატარებული დამკვეთის დებიტორული დავალიანების წიგნი, ვნახავ, ხომ არ მეორდება ამგვარი სიტუაცია სხვა მომხმარებლებთანაც. თუ ეს ასეა, მაშინ არსებობს რისკი იმისა, რომ ადგილი იყოს თალღითობა – დაგვიანებით გატარებული ფულის მითვისება. მაშინ შევამოწმებ, დღეს მიღებული ჩეკები შეტანილია თუ არა ბანკში დაუყოვნებლივ (დღეს ან ხვალ). თუ ბანკში ჩეკები მნიშვნელოვანი დაგვიანებით არის შეტანილი, მაშინ შევამოწმებ, არსებობს თუ არა ჩეკები, რომლებიც დეპონირებული არ არის ბანკში და თუ არ არსებობს, აქაც მოსალოდნელია, რომ ჩეკები ბანკში დაგვიანებით შეიტანეს, თალღითობის გამო – დაგვიანებით გატარებული ჩეკების მითვისების ფაქტი.

კომპანიის დებიტორული დავალიანების ნაშთსა და მომხმარებლის კრედიტორული დავალიანების წიგნის ნაშთს შორის შეიძლება სხვა განსხვავებებიც არსებობდეს. თუ ეს განსხვავებები უმნიშვნელო/არარარსებითი იქნება, შემიძლება მათი იგნორირება (თუმცა, ფრთხილად უნდა ვიყო და დავრწმუნდე, რომ ეს უმნიშვნელო განსხვავება არ არის ორი დიდი განსხვავების შედეგი, რომლებიც ერთმანეთს ფარავს). თუ განსხვავება მნიშვნელოვანია/არსებითია, მაშინ საკითხს განვიხილავ სავაჭრო კრედიტის საკითხების კონტროლიორთან და შეიძლება მომხმარებელსაც დავუკავშირდე. თუ დავრწმუნდები, რომ თანხის ამოღების შესაძლებლობა არ არსებობს, ასეთი მუხლებისათვის უნდა შეიქმნას ანარიცხები.

- (ii) ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც მომხმარებელი პასუხს არ აგზავნის ცირკულარულ წერილზე, როდესაც მომხმარებლის არსებობის დამტკიცება არ ხერხდება – მომხმარებლის არსებობაზე მტკიცებულებები რომ მოვიპოვო, შემიძლება:

- ტელეფონით დავუკავშირდე მომხმარებელს და შევეკითხო, ვადაგადაცვილებული ნაშთის შესახებ. ფრთხილად უნდა ვიყო, რომ კომპანიამ ხელი არ შემიშალოს დარეკვაში. ამის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება,

თუ კონკრეტულ მომხმარებელს პირდაპირ დავურეკავ კომპანიის სატელეფონო სისტემიდან ან მობილური ტელეფონით;

- დავათვალიერო მომხმარებლისაგან მიღებული კორესპონდენციების ასლები, მათ შორის შეკვეთები, ფულადი გზავნილები, მომხმარებლისაგან გამოგზავნილი ჩეკები და მიმონერები კომპანიის ბლანკზე/სატიტულო ფურცელზე. ეს დოკუმენტები ორიგინალები უნდა იყოს და დოკუმენტებში დაფიქსირებული მომხმარებლის სახელწოდება უნდა ემთხვეოდეს დამკვეთის დებიტორული დავალიანების ნიგნში მომხმარებლის ანგარიშზე მითითებულ სახელწოდებას;
- დამკვეთის არსებობა შევამოწმო სატელეფონო და სავაჭრო ცნობარებში. ამ მიდგომას ნაკლოვანება გააჩნია. კერძოდ, ის კარგ მტკიცებულებას უზრუნველყოფს მომხმარებლის არსებობასა და მის საქმიანობაზე, მაგრამ სუსტ მტკიცებულებას იძლევა იმაზე, რომ ეს სანარმო საქონელს ჩემი აუდიტის დამკვეთი კომპანიისაგან იღებს.

მას შემდეგ, რაც დამტკიცდება მომხმარებლის არსებობა, უკვე დადგინდება დებიტორული დავალიანების ნიგნის ნაშთის დაფარვის შესაძლებლობა. პირველი, შევამოწმებ დავალიანების ხანდაზმულობას. თუ ეს თანხა კრედიტის ლიმიტის ფარგლებში თავსდება და მომხმარებელი, ჩვეულებრივ, კრედიტისათვის დადგენილ ვადებში იხდის დავალიანებას, მაშინ, სავარაუდოდ, დავალიანება, ალბათ, დაიფარება. შემდეგ შევამოწმებ წლის დამთავრების შემდგომ მიღებულ ფულად სახსრებს, რომლითაც წლის დამთავრების მიწურულს გამოწერილი რომელიმე რეალიზაციის ანგარიშ-ფაქტურა იფარება. ისეთი ანგარიშ-ფაქტურები, რომლებიც დაიფარა (ფულადი სახსრები მიღებულია) წლის დამთავრების შემდეგ, არ შეიძლება საეჭვო იყოს. თუმცა, თუ აუდიტორული შემოწმების დროს არსებობს ძველი წლების დავალიანებები, ან დებიტორული დავალიანების ნაშთის ხანდაზმულობა დიდია, ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია ზოგიერთი თანხა არ იყოს ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გადაუხდეელი თანხების შესახებ ვიმსჯელებ კრედიტის საკითხების კონტროლიორთან ერთად. შემდეგ კონტროლიორისაგან მიღებულ ინფორმაციას შევუდარებ სხვა შეკრებილ მტკიცებულებებს და გადავწყვეტ, საეჭვო არის თუ არა ყველა დავალიანება, თუ მხოლოდ დავალიანებების ნაწილია საეჭვო. თუ დავრწმუნდები, რომ ყველა დავალიანება ან დავალიანებების ნაწილი საეჭვოა, მაგრამ დამკვეთი ამტკიცებს, რომ ყველა დავალიანება ამოღებადია, მაშინ ამ ინფორმაციას ჩავინიშნავ სამუშაო დოკუმენტებში შეუსწორებელი შეცდომების სიაში.

მე-6 მარაგითი

ასს 500 — „**აუდიტორული მტკიცებულება**“ — აუდიტორებს ავალდებულებს მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი მტკიცებების გასამყარებლად. ამ მტკიცებებიდან ერთ-ერთი არის შეფასება. მაშასადამე, მტკიცებულება საჭიროა იმის დასადასტურებლად, რომ აქტივები ან ვალდებულებები ასახულია შესაფერისი საბალანსო ღირებულებით. მრავალი აუდიტის წარუმატებლობა დაკავშირებულია იმ სირთულეებთან, რომლებსაც აუდიტორები აწყდებიან აღნიშნული მტკიცების შემოწმების დროს, როდესაც უპირისპირდებიან ხელმძღვანელობის „შემოქმედებითი“ ბუღალტრული აღრიცხვის მცდელობას. ჩვეულებრივ, შეფასების მტკიცების შემოწმების დროს აუდიტორმა უნდა განსაზღვროს, რომ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული შეფასების საფუძველი, მეთოდი ფასს სტანდარტების მოთხოვნებს შეესაბამება. გარდა ამისა, აუდიტორებს ესაჭიროებათ საკმარისი მტკიცებულებების შეკრება,

თავად მუხლების ღირებულებების შესახებ. როგორც ასეთი, შეფასების პრობლემებს აუდიტორები აწყდებიან შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

- (i) ზედნადები ხარჯების შესაფერისი თანხების განსაზღვრისას, რომლებიც გადა-ტანილია მარაგების საბოლოო ნაშთის თვითღირებულებაში;
- (ii) ისეთი ძირითადი საშუალებების ჩამოსაწერი თანხების განსაზღვრისას, რომელ-თაც შეზღუდული სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვთ;
- (iii) მოცემულ წელს გადავადებული და არამატერიალური აქტივების სახით აღიარე-ბული საცდელ-საკონსტრუქტორო დანახარჯების განსაზღვრისას.

მოგეთხოვებათ

(ii) მუხლისათვის:

(ა) განსაზღვროთ შეფასების შესაფერისი საფუძველი; **(2 ქულა)**

(ბ) აღწერეთ და თან დაასაბუთოთ, რომელი აუდიტორული პროცედურები უნდა ჩატარდეს შეფასების საფუძვლის მართებულებისა და ფაქტობრივი თანხების სისწორის შესამოწმებლად. **(6 ქულა)**

შენიშვნა: მოგეთხოვებათ მხოლოდ შეფასების მტკიცების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების განხილვა.

პასუხი

(ii) ცვეთა და ძირითადი საშუალებების ღირებულების ჩამოწერა

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი

ძირითადი საშუალებები, რომლებსაც შეზღუდული სასარგებლო ეკონომიკური მომ-სახურების ვადა აქვს, ფასს სტანდარტების, კერძოდ, ბასს 16-ის თანახმად, სისტე-მატურად უნდა ჩამოინეროს მათ სალიკვიდაციო ღირებულებამდე ცვეთის დარ-იცხვით. ბასს 16-ით დამატებით მოითხოვება, რომ ცვეთის დარიცხვით, ძირითადი საშუალებების ცვეთადი თანხა უნდა განაწილდეს იმ პერიოდებზე, რომლის განმა-ვლობაშიც ნაგარაუდევია მისი გამოყენებით სარგებლის მიღება საწარმოში. გამ-ოყენებული მეთოდი უნდა შეესაბამებოდეს აქტივის ტიპს და მისი გამოყენების წესს საწარმოში. ბასს 16 ასევე მოითხოვს, რომ რეგულარულად ხორციელდებოდეს აქტივების სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადების მიმოხილვა, ხოლო სალიკვიდაციო ღირებულება განისაზღვროს შეძენის (ან გადაფასების) თარიღისათ-ვის არსებული დომინირებული ფასების დონის მიხედვით.

აუდიტორული პროცედურები

შეძენილი ძირითადი საშუალებების სასარ-გებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის განსაზღვრა, მათ შო-რის, არსებული ძირი-თადი საშუალებების სასარგებლო ეკონო-მიკური მომსახურების ვადის გადასინჯვის საჭიროების განხილვა.

- ახალი აქტივებისათვის აუდიტორი იკვლევს შერჩეული სასარგებლო მომსახურების ვადის რეალურობას. ამ პროცედურაში შედის იმ ანალოგიური აქტივების ასაკი-სა და პირობების განხილვა, რომელიც უკვე აქვს კომპა-ნიას; ტექნოლოგიურ პროცესებში მომხდარი ცვლილე-ბების განხილვა, რომელიც გავლენას ახდენს ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადაზე; ძი-რითადი საშუალებების გამოყენების წესში მომხდარი ცვლილებების განხილვა, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მომსახურების ვადაზე, აგრეთვე იმ გადაწყვე-ტილებების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია კა-პიტალური დანახარჯების წუსხის შედგენის პროცესთან, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ძირითადი საშუალე-ბების გასვლის (გაყიდვის) დაგეგმილ თარიღზე.

	• არსებული აქტივებისათვის აუდიტორი განიხილავს ძირითადი საშუალებების გამოყენების ტექნოლოგიურ წესში ან კაპიტალდაბანდებათა ხარჯთაღრიცხვაში (ბიუჯეტში) მომხდარი ძირითადი ცვლილებების გავლენას (შედეგს), ასევე განსაზღვრავს უახლოეს პერიოდში მწყობრიდან გამოსულ აქტივებს და განიხილავს ამ აქტივის ასაკსა და შეძენის თარიღისათვის პროგნოზირებულ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის არსებული განსხვავებების შედეგებს.
სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრა, საჭიროების შემთხვევაში.	• აუდიტორი იკვლევს სალიკვიდაციო ღირებულების განსაზღვრის მეთოდს. როდესაც საქმე ეხება ძირითადი საშუალებების, მაგალითად გამოყენებული მანქანების ხელახლა გაყიდვას გონივრულ ფარგლებში ეფექტურ ბაზარზე, აუდიტორი სალიკვიდაციო ღირებულებას ამოწმებს საბაზრო კოტირებებთან შედარების გზით. როდესაც ძირითადი საშუალებების სალიკვიდაციო ღირებულების შეფასებას ექსპერტი ახორციელებს, ექსპერტის სამუშაოზე დაყრდნობასთან დაკავშირებით ჩვეულებრივი აუდიტორული პროცედურები გამოიყენება. თუ შეფასებას ხელმძღვანელობა ანგარიშობს, ამ შეფასების შესამოწმებლად მიზანშეწონილია სააღრიცხვო შეფასებების აუდიტისათვის განკუთვნილი აუდიტორული პროცედურების გამოყენება, რომელიც შეეხება, მაგალითად წარსული პერიოდის სააღრიცხვო შეფასებების საიმედოობას, იმ დაშვებების შემოწმებას, რომელსაც ეყრდნობა სააღრიცხვო შეფასებები, იმ მონაცემების სიზუსტეს, რომელსაც სააღრიცხვო შეფასებები ეყრდნობა და ა.შ.
ცვეთის შესაფერისი მეთოდის გამოყენება.	• გამოყენებული მეთოდის მიზანშეწონილობის განხილვა, ბასს 16-ის რეკომენდაციების ფონზე. • აუდიტორი უნდა დარწმუნდეს, რომ მეთოდი უცვლელად გამოიყენებოდა ანალოგიური აქტივებისათვის წინა წლებშიც. • აუდიტორი განსაზღვრავს არსებული აქტივების გამოყენებასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და სარგებელს და განიხილავს, ადასტურებს თუ არა აქტივის გამოყენების წესი გამოყენებული ცვეთის მეთოდის მიზანშეწონილებას. მაგალითად, თუ აქტივს ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება და ეს იწვევს მაღალი დონის დანახარჯებს, ან არსებითად დაბალი ამონაგების მიღებას, იმასთან შედარებით, როდესაც აქტივი ახალი იყო, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს წრფივი მეთოდის შეცვლა კლებადი ნაშთის მეთოდით. • აუდიტორი ამოწმებს საანგარიშგებო წლის დარიცხული ცვეთის გამოთვლებს.

დასკვნა

ამ სტატიაში ვეცადეთ, გამოცდისთვის მზადების მიდგომასა და გამოცდაზე პასუხების გაცემის მიდგომებთან დაკავშირებით საკმაოდ დეტალური მითითებები მიგვეწოდებინა სტუდენტებისთვის, რომლებიც აპირებენ „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების“ მოდულის გამოცდის ჩაბარებას. ჩვენი რეკომენდაციები ეხებოდა როგორც „ა“ განყოფილების, ისე „ბ“ განყოფილების საგამოცდო მასალას, ანუ ობიექტურ ტესტებსა და სიტუაციურ მაგალითებზე დაფუძნებულ კითხვებსაც.

გარდა ამისა, ჩვენი რეკომენდაციების საილუსტრაციოდ განვიხილეთ გასული პერიოდების გამოცდებიდან აღებული ტესტები და მაგალითები. ისეთი მაგალითები შევარჩიეთ, რომლებიც ეხება საგამოცდო კითხვების თითქმის ყველა ტიპურ მოთხოვნას, რათა სტუდენტებმა, ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, უფრო ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმის თაობაზე, ყოველ კონკრეტულ მოთხოვნაზე გაცემულ პასუხში, რას მოელის სტუდენტისგან გამომცდელი.

დიდი იმედი გვაქვს, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება გამოცდაზე წარმატების მიღწევის შანსი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სათანადოდ მოემზადებიან გამოცდისთვის და გაითვალისწინებენ ჩვენს მითითებებსა და რჩევებს.

დასასრულ

გამოცდებისთვის მზადების დროს, რაც შეიძლება ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემაში ივარჯიშეთ.

გახსოვდეთ, თუ გაითვალისწინებთ ამ სტატიაში შემოთავაზებულ რჩევებს, გაცილებით კვალიფიციური იქნება თქვენი პასუხი და, შესაბამისად, მით უფრო მაღალ ქულებს მიიღებთ გამოცდაზე.

განახლებული და ადაპტირებული სტატია მოამზადა უმაღლესი დონის „აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების“ მოდულის საგამოცდო გუნდის წევრმა.

სტატია განახლებული და ადაპტირებულია 2019 წლის დეკემბერში

პანდემია ფინანსურ დირექტორებს ლიკვიდურობის უკეთესს აიძლავს



ფინანსურმა დირექტორებმა და სხვა აღმასრულებლებმა აღმოაჩინეს, რომ პანდემიასთან გამკლავებისას აუცილებელია საკუთარი კომპანიის ლიკვიდურობის პროგნოზირება ყოველკვირეულად და ყოველდღიურადაც კი.

ყოველკვირეული და ყოველთვიური პროგნოზირება ნორმად მიიჩნევა, თუმცა მრავალი ფინანსური დირექტორი ფიქრობს იმაზე, თუ რა არის პროგნოზირების ოპტიმალური სიხშირე პანდემიის პერიოდში. Deloitte-ს მიერ ჩატარებული ონლაინ გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა 8,2% ყოველკვირეული პროგნოზირების სტრატეგიას იყენებს, ხოლო 11,5% – ყოველდღიურს.

პანდემიამ უამრავ კომპანიას უბიძგა, მეტი ყურადღება მიაქციოს ფულად ნაკადებსა და ლიკვიდურობის დონეს. გამოკითხვის რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ პანდემიის პერიოდში ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების მართვის პროცესში პროგნოზირება მათი უმთავრესი სირთულე (13,8%), ან ერთ-ერთი უმთავრესი სირთულეა (54%).

„კომპანიების მესვეურთა დიდი ნაწილი ამბობს, რომ პროგნოზირება მათი უმთავრესი ან ერთ-ერთი უმთავრესი სირთულეა

კოვიდთან დაკავშირებით“, – განაცხადა ენტონი ჯექსონმა, Deloitte Transactions and Business Analytics-ის წარმომადგენელმა. „ეს დიდად გასაოცარი არ იყო, თუმცა საინტერესოა იმის აღმოჩენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამან ბიზნესებზე. ჩვენ ვთანამშრომლობთ ისეთ კომპანიებთან, რომლებიც ხშირად არიან ფოკუსირებული ფულადი ნაკადების პროგნოზირების გაუმჯობესებაზე. ალბათ წარმოგიდგენიათ, რამდენად მნიშვნელოვანი გახდა ეს საკითხი უამრავი კომპანიისთვის კოვიდსიტუაციიდან გამომდინარე.“

გამოკითხულთა მხოლოდ 13,5% იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს სამუშაო კაპიტალის სამართავად, ხოლო 18,8% გეგმავს ასეთი ტექნოლოგიების დანერგვას მომავალი 12 თვის ვადაში. „როცა მათ ვკითხეთ, იყენებენ თუ არა თანამედროვე ტექნოლოგიებს, აღმოჩნდა რომ ასეთი მხოლოდ 13-14%-ია, 20% კი გეგმავს. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი არ გეგმავს ამგვარი ინსტრუმენტების გამოყენებას“ – განაცხადა ჯექსონმა – „ამან საკმაოდ გამაკვირვა, რადგან ნამდვილად არსებობს სივრცე პროგნოზირების პროცესის გაუმჯობესებისთვის. ერთ-ერთი ასეთია სხვადასხვა

ანალიტიკური მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც ამჟამად ხელმისაწვდომია.“

Deloitte-ს აქვს ინსტრუმენტი, სახელწოდებით Precision View, რაც იძლევა განსხვავებული ინფორმაციის წყაროების გამოყენებით პერფორმანსის შეფასების საშუალებას. „ერთ-ერთი ძირითადი აღმოჩენა ბიზნესებისთვის კოვიდის პერიოდში გახდა ის, თუ როგორ შეიცვალა პროგნოზების კეთების პროცესი“, – თქვა ჯექსონმა“. პროგნოზირების მოდელების ტიპური ფორმა წარსულში ასეთი იყო – ჩვენ ვნახავდით, როგორი პერფორმან-

სი გვექონდა გასულ წელს, გავზრდიდით 10 ან 15%-ით და მივიღებდით მომავალი წლის შემოსავლების პროგნოზს. პანდემიის მსგავსი შემთხვევებისას, ეს ტექნიკები უკვე აღარ მუშაობს. ასეთ დროს უნდა გქონდეს შესაძლებლობა, უფრო ღრმად გამოიკვლიო, თუ რამდენადაა დაკავშირებული შენი ბიზნესი გარე ფაქტორებთან, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი და უფრო ფართო ეკონომიკური ტენდენციები.“

წყარო: accountingtoday.com



ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო მსჯელობს ჯგუფის ანგარიშგების წესების ცვლილებაზე

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB) განიხილავს კონსოლიდირებული (ჯგუფის) ანგარიშგების სტანდარტებს.

IASB-მ გაავრცელა ინფორმაციის მოთხოვნა, ჯგუფის ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე იმპლემენტაციის შემდგომი რევიზიის მიზნით. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს: ფასს 10 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები“; ფასს 11 – „ერთობლივი შეთან-

ხმებები“; ფასს 12 – „სხვა სუბიექტებში ინტერესების გამჟღავნება“.

IASB რეგულარულად ატარებს თავის მიერ გამოცემული სტანდარტების იმპლემენტაციის შემდგომ რევიზიას იმისათვის, რომ გაარკვიოს, როგორ მოახერხეს ორგანიზაციებმა მათი დანერგვა და როგორ მუშაობენ ისინი პრაქტიკაში.

საბჭომ გასულ წელს განაახლა თავისი რევიზიის პროცესი ჯგუფური ანგარიშგების სტანდარტებისთვის.



ფასს 10-ით მოითხოვება ჯგუფური, ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას. ის იძლევა კონსოლიდაციის ერთიან მოდელს, რომელიც ყველა ტიპის ბიზნესერთეულის კონსოლიდაციის საფუძვლად კონტროლს განიხილავს. შესაძლო განსახილველი საკითხები მოიცავს შვილობილზე ძალაუფლებას; კავშირს უფლებებსა და შემოსავლებს შორის; საინვესტიციო ერთეულებს და სააღრიცხვო მოთხოვნებს ისეთ ტრანზაქციებთან დაკავშირებით, რომლებსაც შედეგად მოაქვს ცვლილებები მფლობელობაში.

ფასს 11 არეგულირებს იმას, თუ როგორ უნდა აღირიცხოს ჯგუფში ინტერესები ერთობლივ შეთანხმებებში. ის მოიცავს პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას ერთობლივი შეთანხმებების აღრიცხვის პროცესში, რომელშიც ყველა მხარე აღიარებს უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც ამ შეთანხმების შედეგად ეკისრებათ. განხილვის შესაძლო საკითხები მოიცავს ერთობლივ შეთანხმებებს, რომლებიც ხდება სტანდარტის სფეროს გარეთ; ერთობლივი შეთანხმებების კლასიფიკაციას და ერთობლივი ოპერაციების სააღრიცხვო მოთხოვნებს.

ფასს 12 მოიცავს იმ ინფორმაციას წილებზე სხვა კომპანიებში, რომელიც უნდა გამჟღავნებულ იქნეს ფინანსური ანგარი-

შების კომენტარებში. ამ სტანდარტთან დაკავშირებით IASB-ს სურს გამოიკვლიოს, რამდენად ეხმარება აღნიშნული მოთხოვნები ბიზნესებს სტანდარტების მიზნების შესრულებაში.

აღნიშნული სტანდარტების შესაბამისად წლიური ანგარიშები მზადდება 2013 წლიდან.

„დანერგვის შემდგომი რევიზიები არის შესაძლებლობა შევამოწმოთ, ასრულებენ თუ არა სტანდარტები იმ ფუნქციას, რომლისთვისაც ისინი შეიქმნა. მე ვთხოვ დაინტერესებულ მხარეებს, დაგვეხმარონ რელევანტური უკუკავშირის მიღების პროცესში“, – განაცხადა IASB-ს თავმჯდომარემ, **ჰანს ჰუგერვორსტმა**.

აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, IASB შეაჯამებს უკუკავშირს და განაცხადებს სამომავლო გეგმების შესახებ. საბჭომ შესაძლოა დამატებითი სტანდარტის პროექტი დაამატოს თავის დღის წესრიგს, გააგრძელოს მოკვლევა ან საერთოდ გადაწყვიტოს, რომ არანაირი დამატებითი მოქმედების საჭიროება არ არსებობს.

კომენტარების მიღების საბოლოო ვადად 2021 წლის მაისი განისაზღვრა.

წყარო: accountingtoday.com

ვებგვერდი, 03/02/2021
სარეგისტრაციო კოდი
280030000.73.085.016005

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ბრძანება №001/01 2021 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

**„დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების შესახებ“
საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №001 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1.

„დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 27 მაისის №001 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 27/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016001) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება, მე-6 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6¹ მუხლი:

მუხლი 6¹. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის დროებითი დისტანციური მომსახურების წესი

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ამ წესით გათვალისწინებული დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე ან მონაწილის სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი უფლებამოსილია დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიმართოს საპენსიო სააგენტოს ამ წესის დანართით გათვალისწინებული განცხადებით. აღნიშნული განცხადება შესაძლოა წარმოდგენილ იქნას როგორც ამობეჭდილი, ისე ხელნაწერი სახით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – info@pensions.ge გაგზავნის გზით საპენსიო სააგენტოს წარუდგინოს:

ა) ამ წესის №1 დანართით განსაზღვრული ფორმით შედგენილი, სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი განცხადების ფოტოასლი;

ბ) დასაქმებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი (პირადობის მოწმობის (მათ შორის ელექტრონული მოწმობის) შეთხვევაში მისი ორივე გვერდი);

გ) დასაქმებულის ფოტო გადაღებული პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, რომელშიც ერთობლივად ნათლად უნდა ჩანდეს როგორც დასაქმებულის სახე, ისე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წინა გვერდი და მისი რეკვიზიტები.

3. დაგროვებითი საპენსიო სქემიდან დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გასვლის მიზნით, საპენსიო სააგენტოსთვის დასაქმებულის წარმომადგენლის მეშვეობით მიმართვისას, წარმომადგენელი ვალდებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – info@pensions.ge გაგზავნის გზით საპენსიო სააგენტოს წარუდგინოს:

- ა) ამ წესის №2 დანართით განსაზღვრული ფორმით შედგენილი, სათანადოდ შევსებული და ხელმოწერილი განცხადების ფოტოასლი;
- ბ) წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოასლი (პირადობის მოწმობის (მათ შორის ელექტრონული მოწმობის) შემთხვევაში, მისი ორივე გვერდი);
- გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ელექტრონული კომუნიკაცია უნდა იმყოფებოდეს დაინტერესებული პირის იდენტიფიცირებისა და მისი პირადობის დადასტურების შესაძლებლობას.
6. დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის შესახებ მომსახურების, ამ მუხლით გათვალისწინებული წესით, დისტანციურად მიწოდების შეუძლებლობისას ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია საპენსიო სააგენტოს ოფისში ან სოციალური მომსახურების სააგენტოში გამოცხადების გზით.
7. ამ მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წარმოდგენილი განცხადება წარმოადგენს შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს.
8. ამ მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ნებისმიერი განცხადების წარდგენისას, წარდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს ვიზუალურად აღქმადი და შესაძლებელი იყოს გამოსახულების/ნაწერის გარჩევა, განცხადებაში დაინტერესებულმა პირმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს მოთხოვნის შინაარსი და მიუთითოს საკუთარი საკონტაქტო ინფორმაცია (აქტიური მობილური ტელეფონის ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი).
9. ელექტრონული კომუნიკაციის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დაინტერესებული პირის პიროვნების იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დაინტერესებული პირისაგან საპენსიო სააგენტოს ოფისიალური ვებგვერდის საშუალებით ვიდეო ზარის განხორციელება ან/და ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, მათ შორის დოკუმენტის დედანის წარდგენა, რა შემთხვევაშიც დაინტერესებულ პირს ეცნობება ელექტრონული ფოსტის ან ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე და განესაზღვრება ვადა დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენისათვის 10 სამუშაო დღის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვადის განმავლობაში დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა შესრულებული საპენსიო სააგენტოს მოთხოვნა, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება.
10. ელექტრონული კომუნიკაციის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია გადაამოწმოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სისწორე სსიპ – შემოსავლების სამსახურთან ან/და პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნებისთვის სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ან/და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11. ამ მუხლის მიზნებისთვის საპენსიო სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცვლა განხორციელდება ელექტრონულად ამავე პირის მიერ განცხადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის ან იმ ელექტრონული ფოსტის მისამართის მეშვეობით, რომლითაც შესაბამისი განცხადება წარდგენილ იქნა საპენსიო სააგენტოსათვის ან/და ელექტრონული სისტემის საშუალებით. საპენსიო სააგენტოს მიერ ოფისიალური ელექტრონული კომუნიკაცია განხორციელდება შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით – info@pensions.ge.
12. ამ მუხლის შესაბამისად საპენსიო სააგენტოსათვის წარდგენილი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის სიყალბის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მათ შორის სისხლისსამართლებრივი, ეკისრება მის წარმდგენ პირს.
13. იმ პირობისათვის, რომლებიც თვითიზოლაციაში ან კარანტინში ყოფნის ან ავადმყოფობის გამო გაუშვებენ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და ამ წესით განსაზღვრულ ვადას, გაშვებული ვადა აღდება თვითიზოლაციაში ან კარანტინში

ყოფნის ან ავადმყოფობის პერიოდის გასვლიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის განმავლობაში საპენსიო სააგენტოში წარდგენილი განცხადების საფუძველზე. თვითიზოლაციაში ან კარანტინში ყოფნის ან ავადმყოფობის დადასტურება უნდა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული დოკუმენტით.

მუხლი 2.

1. ეს ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებიდან და ძალაშია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მოქმედების ვადით.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული 6¹ მუხლის მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 28 ნოემბრიდან.

საპენსიო სააგენტოს დირექტორი

გიორგი დანელია

დანართი 1:

განცხადება

დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის შესახებ

წინამდებარე განცხადების საფუძველზე, მე _____

(გთხოვთ მიუთითოთ სახელი, გვარი და პირადი ნომერი)

მსურს გავიდე დაგროვებითი საპენსიო სქემიდან. თანხმობას ვაცხადებ, ჩემს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განთავსებული ჩემი კუთვნილი თანხიდან საპენსიო სააგენტომ განახორციელოს:

- შესაბამისი ოდენობის თანხის გადარიცხვა სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების და დარიცხული სარგებლის დაბრუნების მიზნით;
- შესაბამისი ოდენობის თანხის გადარიცხვა დამსაქმებლ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე, დამსაქმებლ(ებ)ის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების და დარიცხული სარგებლის დაბრუნების მიზნით;
- შესაბამისი ოდენობის თანხის გადარიცხვა დარიცხულ სარგებელთან ერთად დამსაქმებლ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე, შესაბამისი გადასახადებით დაბეგვრის შემდგომ, ჩემთვის დაბრუნების მიზნით.

ტელეფონის ნომერი: _____

მისამართი: _____

ელექტრონული ფოსტა (იმ შემთხვევაში თუ ის განსხვავდება იმ ელექტრონული ფოსტის მისამართისგან, რომლის მეშვეობითაც მოხდა წინამდებარე განცხადების წარდგენა): _____

დასაქმებულის ხელმოწერა: _____

ხელმოწერის თარიღი: _____

განცხადება

დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის შესახებ

წინამდებარე განცხადების საფუძველზე, მე _____
 _____ (შემდგომში - დასაქმებული)
 (გთხოვთ მიუთითოთ დასაქმებულის სახელი, გვარი და პირადი ნომერი)
 წარმომადგენელი _____

(გთხოვთ მიუთითოთ წარმომადგენლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი)

ვმოქმედებ რა, როგორც დასაქმებულის წარმომადგენელი, დასაქმებულის სახელით, ვადასტურებ მის ნებას უარი განაცხადოს დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე და გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან. თანხმობას ვაცხადებ საპენსიო შენატანების ადმინისტრირების ელექტრონულ სისტემაში დასაქმებულის ინდივიდუალურ ანგარიშზე განთავსებული თანხიდან საპენსიო სააგენტომ განახორციელოს:

- შესაბამისი ოდენობის თანხის გადარიცხვა სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების და დარიცხული სარგებლის დაბრუნების მიზნით;
- შესაბამისი ოდენობის თანხის გადარიცხვა დამსაქმებლ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე, დამსაქმებლ(ებ)ის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების და დარიცხული სარგებლის დაბრუნების მიზნით;
- შესაბამისი ოდენობის თანხის გადარიცხვა დარიცხულ სარგებელთან ერთად დამსაქმებლ(ებ)ის საბანკო ანგარიშ(ებ)ზე, შესაბამისი გადასახადებით დაბეგვრის შემდგომ, ჩემთვის დაბრუნების მიზნით.

ტელეფონის ნომერი: _____
 მისამართი: _____

ელექტრონული ფოსტა (იმ შემთხვევაში თუ ის განსხვავდება იმ ელექტრონული ფოსტის მისამართისგან, რომლის მეშვეობითაც მოხდა წინამდებარე განცხადების წარდგენა): _____

დასაქმებულის წარმომადგენლის ხელმოწერა:

ხელმოწერის თარიღი:

ვებგვერდი, 03/02/2021
სარეგისტრაციო კოდი
280030000.73.085.016006

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
საპენსიო სააგენტოს დირექტორის
ბრძანება №002/01**

2021 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი

**„საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის
2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისი №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1.

„საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 31/07/2019, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016002) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება, მე-13 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ მუხლი:

მუხლი 13¹. ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების პრევენციის მიზნით, დაინტერესებულ პირთათვის დროებით დისტანციური მომსახურების განხორციელების წესი

1. ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების პრევენციის მიზნით, დაინტერესებული პირი უფლებამოსილია საპენსიო სააგენტოს მიმართოს და მიიღოს შესაბამისი მომსახურება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, შემდეგ შემთხვევებში:

ა) საპენსიო სააგენტოსათვის ამ ინსტრუქციით დარეგულირებულ საკითხებთან დაკავშირებით განცხადების წარდგენისას;

ბ) ამ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

გ) ამ ინსტრუქციის მე-13 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. ამ მუხლით დადგენილი წესით მომსახურების დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღება შესაძლებელია, იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა დაინტერესებული პირის იდენტიფიცირებისა და მისი პირადობის დადასტურების შესაძლებლობას.

3. ამ მუხლით განსაზღვრული წესით, საპენსიო სააგენტოს მომსახურების დისტანციურად მიწოდების შეუძლებლობისას ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია საპენსიო სააგენტოს ოფისში გამოცხადების გზით ან ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით.

4. დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული განცხადებ(ებ)ის წარდგენის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვალდებულია ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ფოტოასლებთან ერთად, საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – info@pensions.ge გაგზავნის გზით წარადგინოს:

ა) დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფოტოას-

ლი (პირადობის მოწმობის (მათ შორის, ელექტრონული მოწმობის) შეთხვევაში მისი ორივე გვერდი);

ბ) დაინტერესებული პირის ფოტო, გადაღებული პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად, რომელშიც ერთობლივად, ნათლად უნდა ჩანდეს როგორც დაინტერესებული პირის სახე, ისე პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის წინა გვერდი და მისი რეკვიზიტები.

5. დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განცხადებ(ებ)ის წარდგენის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი, ვალდებულია საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – info@pensions.ge გაგზავნის გზით წარადგინოს ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტაციის ფოტოასლები.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წარმოდგენილი განცხადება არის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ნებისმიერი განცხადების წარდგენისას, განცხადება უნდა იყოს დაინტერესებული პირის მიერ ხელმოწერილი, წარდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს ვიზუალურად აღქმადი და შესაძლებელი იყოს გამოსახულების/ნაწერის გარჩევა, განცხადებაში დაინტერესებულმა პირმა მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს მოთხოვნის შინაარსი და მიუთითოს საკუთარი საკონტაქტო ინფორმაცია (აქტიური მობილური ტელეფონის ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი (იმ შემთხვევაში, თუ ის განსხვავდება იმ ელექტრონული ფოსტის მისამართისგან, რომლის მეშვეობითაც მოხდა შესაბამისი განცხადების წარდგენა)).

8. ელექტრონული კომუნიკაციის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დაინტერესებული პირის პიროვნების იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია, მოითხოვოს დაინტერესებული პირისაგან საპენსიო სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით ვიდეოჩარის განხორციელება ან/და ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, მათ შორის, დოკუმენტის დედანის წარდგენა, რა შემთხვევაშიც დაინტერესებულ პირს ეცნობება ელექტრონული ფოსტის ან ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე და განესაზღვრება ვადა დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენისათვის 10 სამუშაო დღის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ, აღნიშნული ვადის განმავლობაში არ იქნა შესრულებული საპენსიო სააგენტოს მოთხოვნა, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება.

9. ელექტრონული კომუნიკაციის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია, გადაამოწმოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სისწორე სსიპ – შემოსავლების სამსახურთან ან/და პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნებისთვის, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ან/და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ამ მუხლის მიზნებისთვის, საპენსიო სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცვლა განხორციელდება ელექტრონულად ამავე პირის მიერ განცხადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის ან იმ ელექტრონული ფოსტის მისამართის მეშვეობით, რომლითაც შესაბამისი განცხადება წარდგენილ იქნა საპენსიო სააგენტოსათვის ან/და ელექტრონული სისტემის საშუალებით. საპენსიო სააგენტოს მიერ ოფიციალური ელექტრონული კომუნიკაცია განხორციელდება შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით – info@pensions.ge.

11. ამ მუხლის შესაბამისად საპენსიო სააგენტოსათვის წარდგენილი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის სიყალბის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი, ეკისრება მის წარმდგენ პირს.

მუხლი 2.

1. ეს ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებიდან და ძალაშია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მოქმედების ვადით.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული 13¹ მუხლის მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 28 ნოემბრიდან.

საპენსიო სააგენტოს დირექტორი

გიორგი დანელია

ვებგვერდი, 03/02/2021
სარეგისტრაციო კოდი
280030000.73.085.016007

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
საპენსიო სააგენტოს დირექტორის
ბრძანება №003/1
2021 წლის 2 თებერვალი ქ. თბილისი**

**„პენსიისა და საპენსიო აქტივების გაცემის შესახებ ინსტრუქციის
დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო
სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №003 ბრძანებაში
ცვლილებების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს №421 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისი №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1.

„პენსიის და საპენსიო აქტივების გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №003 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 31/07/2019, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016003) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება, მე-13 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13¹ მუხლი:

მუხლი 13¹. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით ამ წესით დადგენილი მომსახურების დროებით დისტანციურად განხორციელების წესი

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს ამ ინსტრუქციით განსაზღვრული მომსახურება გაუწიოს დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული განცხადების საფუძველზე, ამ მუხლით განსაზღვრული წესით, იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული კომუნიკაცია იძლევა დაინტერესებული პირის იდენტიფიცირებისა და მისი პირადობის დადასტურების შესაძლებლობას.

2. მონაწილე ან გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრე უფლებამოსილია პენსიის ან საპენსიო აქტივების მიღების მიზნით შესაბამისი განცხადება და ამ თავით განსაზღვრული დოკუმენტაცია საპენსიო სააგენტოს წარუდგინოს დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საპენსიო სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე – info@pensions.ge ამ თავით განსაზღვრული ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტაციის ფოტოასლების გაგზავნის გზით.

3. საპენსიო სააგენტოს მომსახურების, დაინტერესებული პირისათვის ამ მუხლით განსაზღვრული წესით, დისტანციურად მიწოდების შეუძლებლობისას ან გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია დაინტერესებული პირის საპენსიო სააგენტოს ოფისში გამოცხადების გზით ან ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წარმოდგენილი განცხადება არის შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ნებისმიერი განცხადების წარდგენისას, წარდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს ვიზუალურად ალქმადი და შესაძლებელი იყოს გამოსახულების/ნაწერის გარჩევა. ელექტრონულ შეტყობინებაში დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს საკუთარი საკონტაქტო ინფორმაცია (აქტიური მობილური ტელეფონის ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი (იმ შემთხვევაში, თუ ის განსხვავდება იმ ელექტრონული ფოსტის მისამართისგან, რომლის მეშვეობითაც მოხდა შესაბამისი განცხადების წარდგენა).

7. ელექტრონული კომუნიკაციის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დაინტერესებული პირის პიროვნების იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია მოითხოვოს დაინტერესებული პირისაგან საპენსიო სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით ვიდეო ზარის განხორციელება ან/და ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, მათ შორის დოკუმენტის დედანის წარდგენა, რა შემთხვევაშიც დაინტერესებულ პირს ეცნობება ელექტრონული ფოსტის ან ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარდგენილი შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე და განესაზღვრება ვადა დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოდგენისათვის 10 სამუშაო დღის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირის მიერ არ იქნა შესრულებული საპენსიო სააგენტოს მოთხოვნა, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება.

8. ელექტრონული კომუნიკაციის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია გადაამოწმოს დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის სისწორე სსიპ შემოსავლების სამსახურთან ან/და პიროვნების იდენტიფიკაციის მიზნებისთვის სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან ან/და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ამ მუხლის მიზნებისთვის საპენსიო სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის დოკუმენტაციის/ინფორმაციის გაცვლა განხორციელდება ელექტრონულად ამავე პირის მიერ განცხადებაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის ან იმ ელექტრონული ფოსტის მისამართის მეშვეობით, რომლითაც შესაბამისი განცხადება წარდგენილ იქნა საპენსიო სააგენტოსათვის ან/და ელექტრონული სისტემის საშუალებით. საპენსიო სააგენტოს მიერ ოფიციალური ელექტრონული კომუნიკაცია განხორციელდება შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით – info@pensions.ge.

10. ამ მუხლის შესაბამისად საპენსიო სააგენტოსათვის წარდგენილი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის სიყალბის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მათ შორის სისხლისსამართლებრივი, ეკისრება მის წარმდგენ პირს.

მუხლი 2.

1. ეს ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებიდან და ძალაშია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-7 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მოქმედების ვადით.

2. ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებული 13¹ მუხლის მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 28 ნოემბრიდან.

საპენსიო სააგენტოს დირექტორი

გიორგი დანელია

ვებგვერდი, 22/01/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017427

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №10
2021 წლის 21 იანვარი ქ. თბილისი**

**„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების,
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული
საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების
გადახდევენების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების,
სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994
ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევენების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 37¹⁸ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 37¹⁹ და 37²⁰ მუხლები:

„მუხლი 37¹⁹. „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლის პროცესი

1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49¹ მუხლის შესაბამისად, ზოგადი ანალიტიკური პროცედურების საფუძველზე განახორციელოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლით განსაზღვრულ „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლა.

2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლა გულისხმობს დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის და მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, მოქალაქეობა და სხვა) შესახებ ინფორმაციის ანალიზს.

3. „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს დამქირავებელ პირთან კომუნიკაციის დამყარების გზით ან/და დამქირავებელი პირის ობიექტ(ებ)ზე გასვლით.

4. დამქირავებელი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ახსნა-განმარტებები და ყველა ის დოკუმენტაცია, რაც განსაზღვრავს დაქირავებულ ფიზიკურ პირთა რაოდენობის ან/და მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების სისწორის დადგენას, რაც აისახება „დაქირავებულ პირთა რეესტრის შესწავლის შედეგების შესახებ“ ოქმში.

5. „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლისას, თუ გამოვლინდა დაქირავებულ ფიზიკურ პირთა შესახებ არასწორი ინფორმაცია, აღნიშნული გამოიწვევს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას.

6. იმ შემთხვევაში, თუ ვერ განხორციელდა დამქირავებელ პირთან კომუნიკაციის დამყარება ან/და დამქირავებელი პირის ობიექტ(ებ)ის მოძიება, ამასთან, თუ დამქირავებელი უარს აცხადებს წარადგინოს ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ახსნა-განმარტებები ან/და შესაბამისი დოკუმენტაცია, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგადასახადო კონტროლის დანიშვნის თაობაზე, ამ წესის II კარით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

მუხლი 37²⁰. „დაქირავებულ პირთა რეესტრის შესწავლის შედეგების შესახებ“ ოქმი

1. „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლის შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს დანართი №24⁶-ით გათვალისწინებულ „დაქირავებულ პირთა რეესტრის შესწავლის შედეგების შესახებ“ ოქმს.

2. „დაქირავებულ პირთა რეესტრის შესწავლის შედეგების შესახებ“ ოქმში აისახება შესწავლის შედეგად გამოვლენილ ფიზიკურ პირთა შესახებ ინფორმაცია.

3. შესწავლის შედეგად მიღებული შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც თანხვედრაშია „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ არსებულ ინფორმაციასთან, აღნიშნულ ოქმში არ აისახება, შეუვსებელი ველები გადაიხაზება და კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

4. „დაქირავებულ პირთა რეესტრის შესწავლის შედეგების შესახებ“ ოქმი შესაძლებელია შედგეს როგორც წერილობითი, ისე ელექტრონული ფორმით, რომლებსაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.“.

2. დამატოს თანდართული რედაქციის დანართი №24⁶.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

დანართი N24⁶

**შემოსავლების სამსახური
ოქმი №**

დაქირავებულ პირთა რეესტრის შესწავლის შედეგების შესახებ

1			20 წ .
---	--	--	--------

(შედგენის თარიღი)

2			
---	--	--	--

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

3		მიერ
---	--	------

(საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის თანამდებობა , სახელი და გვარი)

4	
---	--

(გადასახადის გადამხდელის დასახელება / სახელი, გვარი , საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი , იურიდიული მისამართი)

5	
---	--

(გადასახადის გადამხდელის შემოწმების ადგილი -ობიექტის დასახელება , ფაქტობრივი მისამართი)

6	20 წ .			
---	--------	--	--	--

(რიცხვი) (თვე) (საათი , წუთი)

განხორციელდა დაქირავებულ პირთა რეესტრის
შემოწმების პროცედურა

7	
---	--

(გადასახადის გადამხდელის ან / და მისი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

მონაწილეობით

8	შესწავლის შედეგად გამოვლენილ ფიზიკურ პირთა შესახებ ინფორმაცია
	პირადი ნომერი

(ინფორმაცია დაქირავებულ პირთა რეესტრის შემოწმების შედეგად გამოვლენილი ფიზიკური პირების შესახებ)

შენიშვნა
სტატუსი
შესასრულებელი
სამუშაოს ტიპი
ტელეფონი
დაბადების
თარიღი
მოქალაქეობა
სქესი გვარის

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი (ოქმის შემდგენი):

--	--	--

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

გადასახადის გადამხდელი ან / და მისი წარმომადგენელი:

--	--	--

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

შენიშვნა:	

ვებგვერდი, 22/01/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017428

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №11
2021 წლის 21 იანვარი ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიცეს როგორც ერთი კონკრეტული გადასახადის გადამხდელის, ასევე რამდენიმე გადასახადის გადამხდელის, კონკრეტულ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედ, ასევე მსგავსი ან იდენტური საქმიანობის სახით, გადასახადის ტიპით ან სხვა მსგავსი მახასიათებლებით პირთა ჯგუფის მიმართ.“.

2. მე-15 მუხლის შემდეგ დაემატოს 15⁴ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15⁴. დისტანციური საკონტროლო შესყიდვა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით

1. ამ წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევის, კერძოდ, საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის ფაქტის გამოვლენის მიზნით, საკონტროლო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით (ამ წესის მიზნებისთვის შემდგომში – კომუნიკაციის ელექტრონული საშუალება), თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პირი ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას.

2. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით განხორციელებული საკონტროლო შესყიდვის შედეგებზე საგადასახადო ორგანოს მიერ ამ მუხლის მე-4 – მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურა ხორციელდება, თუ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით საკონტროლო შესყიდვისას იდენტიფიცირებულ იქნა პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან/და საბანკო ანგარიშის ნომერი.

3. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით საკონტროლო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია გამოიყენოს ტექნიკური საშუალებები აუდიო მტკიცებულების შექმნის მიზნით.

4. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით საკონტროლო შესყიდვის განხორციელების დასრულებისთანავე (მიუხედავად იმისა, საკონტროლო შესყიდვა დასრულდა შეთავაზებით თუ საქონლის/მომსახურების შესყიდვით) პირს განემარტება განხორციელებული პროცედურის მიზანი და შედეგი, ეცნობება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის ვინაობა, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა და თანამდებობის მითითებით. ამასთანავე, მიეწოდება ინფორმაცია, რომ განხორციელდა საუბრის აუდიო ჩაწერა. ელექტრონული კომუნიკაციით საკონტროლო შესყიდვა შესაძლებელია დასრულდეს შეთავაზებით, თუ იდენტიფიცირებულ იქნა პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი ან/და საბანკო ანგარიშის ნომერი და აუდიო ჩანაწერით დასტურდება სამართალდარღვევის ფაქტი.

5. კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით საკონტროლო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, „საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ“ ოქმი (დანართი №2) არ შედგება და საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ, პროცედურის შედეგი აისახება საგადასახადო ორგანოში არსებული სპეციალური ერთიანი ელექტრონული ბაზის შესაბამის ველში.

6. იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით განხორციელებული საკონტროლო შესყიდვით დადასტურდა საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტი, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ელექტრონული ფორმით ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს, რომელიც დადგენილი წესით ბარდება/ეგზავნება სამართალდამრღვევ პირს. ამასთან, ოქმში მიეთითება სამართალდარღვევის გამოვლენის დამადასტურებელი აუდიო მტკიცებულების თაობაზე.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით საკონტროლო შესყიდვის დაგეგმვისას, მიმდინარეობისას და დასრულების შემდგომი ღონისძიებების განხორციელებისას, საჭიროებისამებრ გამოიყენება ამ წესის IV თავით გათვალისწინებული შესაბამისი დებულებები.“.

3. 70-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის არსებობის შესახებ, ამ წესის 15⁴ მუხლის შესაბამისად, აგრეთვე 22-ე მუხლის მე-6 პუნქტით და 23⁶ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის განხორციელებისას, დამსწრეთა არარსებობის შემთხვევაში.“.

4. 71¹ მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად პირს განესაზღვრება 2 სამუშაო დღის ვადა. თუ საქართველოს საგადასახადო

დო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა გამოვლინდა ამ წესის 15⁴ მუხლის შესაბამისად განხორციელებული პროცედურით, საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად პირს შეიძლება განესაზღვროს ვადა 10 სამუშაო დღემდე.“;

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს 5¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„5¹. თუ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა გამოვლინდა ამ წესის 15⁴ მუხლის შესაბამისად განხორციელებული პროცედურით, ელექტრონული ფორმით შედგენილ აქტზე, ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის ხელმოწერა სავალდებულო არ არის და აქტი პირს ბარდება/ეგზავნება ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით. ამასთან, პირს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ეცნობება აქტის შინაარსი, მიზანი, დადგენილი ვადა და სამართალდარღვევის აღმოფხვრელობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგი.“;

გ) მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-11 და მე-12 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„11. თუ ამ მუხლის 5¹ პუნქტის შესაბამისად შედგენილი აქტით განსაზღვრულ ვადაში არ იქნა შესრულებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 66-ე მუხლით დადგენილი ვალდებულება, პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ წესის 15⁴ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მოპოვებული აუდიო მტკიცებულების საფუძველზე.

12. თუ პირმა, ამ მუხლის 5¹ პუნქტის შესაბამისად შედგენილი აქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე შეწყვიტა ეკონომიკური საქმიანობა ან გააგრძელა იურიდიული პირის სტატუსის მქონე სამართლებრივი ფორმით, იგი ვალდებულია აქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით აცნობოს საგადასახადო ორგანოს აღნიშნულის თაობაზე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირს პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №16
2021 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის
№331 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №331 ბრძანებაში (ვებგვერდი, 31/12/2020, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.017421) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 11¹ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11² მუხლი:

“მუხლი 11². დაქირავებულ პირთა რეესტრი

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დამქირავებელი, ვალდებულია დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია ასახოს „დაქირავებულ პირთა რეესტრში“, რომელსაც აწარმოებს შემოსავლების სამსახური.

2. დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურს წარედგინება ელექტრონულად, შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით.

3. „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ აისახება დაქირავებულ პირთა შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) დაქირავებული პირის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი, მობილური ტელეფონის ნომერი;

ბ) სამუშაო განაკვეთი;

გ) სტატუსი – აქტიური, შეჩერებული, შეწყვეტილი;

დ) სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების თარიღი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის:

ა) აქტიური სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

ბ) შეჩერებული სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელიც დროებით ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც არ იწვევს შრომითი ურთიერთობების შეწყვეტას და ამავდროულად შრომითი ურთიერთობის შეჩერების პერიოდი აღემატება 90 კალენდარულ დღეს;

გ) შეწყვეტილი სტატუსი ენიჭება დაქირავებულ პირს, რომელთანაც შეწყდა შრომითი ხელშეკრულება.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილებისას დამქირავებელი ვალდებულია შესაბამისი ცვლილებები 5 სამუშაო დღის ვადაში ასახოს „დაქირავებულ პირთა რეესტრში“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაქირავებულს ენიჭება სტატუსი – აქტიური, რა დროსაც შესაბამისი ცვლილების რეესტრში ასახვა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შრომითი ურთიერთობის განახლების თარიღისა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ივანე მაჭავარიანი

ვებგვერდი, 02/02/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017432

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №20
2021 წლის 1 თებერვალი ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის:

1. დანართი NVI-12 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. 107-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 107. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის გაანგარიშების შეესება

1. გაანგარიშების პირველ ნაწილში აისახება ინფორმაცია მოსაკრებლის გადამხდელის რეკვიზიტების, გაანგარიშების ტიპის (პირველადი/შესწორებული), საანგარიშო პერიოდის შესახებ, აგრეთვე, ეკონომიკური საქმიანობის („NACE“) კოდი „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ მიხედვით.

2. გაანგარიშების ყველა გვერდზე მიეთითება გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, ამასთან, დეკლარაციაში ასახული მონაცემების უტყუარობა და სისრულე ხელისმოწერით დასტურდება გადასახადის გადამხდელის მიერ თარიღის (რიცხვი, თვე, წელი) მითითებით.

3. გაანგარიშების II ნაწილი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ და აისახება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოში დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის შესახებ.

4. გაანგარიშების III ნაწილის:

ა) პირველ სვეტში აისახება იმ ლიცენზიის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლის მიხედვითაც ხორციელდება ანგარიშგება;

ბ) მე-2 სვეტში აისახება პირველ სვეტში მითითებული ლიცენზიით განსაზღვრული ბუნებრივი რესურსის სახეობა. თუ ლიცენზია მოიცავს რამდენიმე სახეობის რესურსს, მაშინ თითოეული სახეობა ცალ-ცალკე სტრიქონში აისახება;

გ) მე-3 სვეტში აისახება ზომის ერთეული (გრამი, კილოგრამი, ტონა, მ3) ბუნებრივი რესურსების სახეობათა მიხედვით;

დ) მე-4 სვეტში აისახება გარემოდან ამოღებული (მოპოვებული/მოსაპოვებელი) ბუნებრივი რესურსების მოცულობა (რაოდენობა), კერძოდ:

დ.ა) სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ წყალზე – წლის განმავლობაში გამოყენებული წყლის მოცულობა;

დ.ბ) ტყის ფონდის მერქნულ რესურსებზე – საანგარიშო თვის განმავლობაში ბუნებიდან ამოღებული რესურსების ოდენობა. ამასთან, თუ პირი ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში სისტემატურად (ყოველდღიურად) ახორციელებს ტყის ფონდის მერქნული რესურსების გარემოდან ამოღებას, უფლებამოსილია წინასწარ წარადგინოს მოსაკრებლის გაანგარიშება თვის მოსალოდნელი მოსაპოვებელი რესურსების მოცულობების მიხედვით, რომელიც შემდგომში ექვემდებარება შესაბამისი სასაქონლო ზედნადებით განაშთავს;

დ.გ) მინერალურ წყლებსა და მიწისქვეშა მტკნარ ჩამოსასხმელ წყლებზე – კვარტლის განმავლობაში ლიცენზიის შესაბამისად დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის ათვი-სების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის

მიხედვით, თანაბარ ნაწილებად, წლიური გეგმის $\frac{1}{4}$ -ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება წლიური გეგმის $\frac{1}{4}$ -ს, შეიტანება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობა;

დ.დ) ნახშირორჟანგზე (გაზი CO₂) – თვის განმავლობაში ლიცენზიით განსაზღვრული ყოველდღიური ლიმიტის შესაბამისად მოპოვებული რესურსის მოცულობა (ოდენობა);

დ.ე) იმ სასარგებლო წიაღისეულზე, რომლის მოპოვების (ან წიაღით სარგებლობის) ლიცენზიით პირდაპირ არის განსაზღვრული მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის ჯამური, წლიური მაქსიმალური ან დღიური ოდენობა (გარდა მინერალური წყლებით, მიწისქვეშა მტკნარი ჩამოსასხმელი წყლებით და ნახშირორჟანგისა) – 6 თვის განმავლობაში ლიცენზიის შესაბამისად დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული ყოველწლიური ასათვისებელი მოცულობა, თანაბარ ნაწილებად, წლიური გეგმის $\frac{1}{2}$ -ის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება წლიური გეგმის $\frac{1}{2}$ -ს, შეიტანება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზია მოიცავს არასრულ წელს (დაიწყო, დასრულდა, გასხვისდა წლის შიგნით), გეგმური მოცულობა განისაზღვრება თვის ლიმიტის მიხედვით, ხოლო თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება თვიურ ლიმიტს, შეიტანება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა.

შენიშვნა:

1. თუ წლის შიგნით რომელიმე საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობა აღემატება ამავე პერიოდის გეგმიურ მოცულობას, გაანგარიშებაში ასახვას ექვემდებარება ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობა.

2. თუ ადგილი აქვს ლიცენზიის/მისი ნაწილის იჯარით გაცემას, მოსაკრებლის გაანგარიშებას და გადახდას ახორციელებს ლიცენზიის მესაკუთრე.

3. თუ ლიცენზიის ვადის გასვლამდე ლიცენზიის მფლობელმა აითვისა ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი რესურსის ჯამური მოცულობა, იგი ვალდებულია განცხადებით მიმართოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

მაგალითი 1:

პირმა 2021 წლის მარტის თვეში მიიღო სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) მოპოვების ლიცენზია 2026 წლის მარტამდე მოქმედების ვადით. ლიცენზიაზე დამტკიცებული ათვისების გეგმის შესაბამისად, მოსაპოვებელი წიაღისეულის 2021 წლის წლიური ოდენობა შეადგენს 15 000 მ3, შემდეგ წლებში 20 000 მ3-ს, ხოლო 2026 წელს (პირველ მარტამდე) - 2 000 მ3 -ს.

მოცემულ შემთხვევაში:

2021 წლის წლიური გეგმა მოიცავს 10 თვეს - მარტიდან დეკემბრის თვის ჩათვლით პერიოდს. შესაბამისად, რადგან აღნიშნული პერიოდი აღემატება 6 თვეს, 15 ივლისის და მომდევნო წლის 15 იანვრის სავადო თარიღებისთვის წარდგენილი ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდების გაანგარიშებებში ასახულ უნდა იქნეს თვიური ლიმიტის შესაბამისად განსაზღვრული 2021 წლის გეგმით გათვალისწინებული ასათვისებელი რესურსის მოცულობა. მოცემული მაგალითის პირობებში, 2021 წლის I არასრული ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის (მარტი-ივნისი) გაანგარიშებაში (სვ.4) ასახვას ექვემდებარება 6 000მ3 (15 000/10*4), ხოლო II ექვსთვიანი (ივლისი - დეკემბერი) საანგარიშო პერიოდის გაანგარიშებაში, რომელიც წარედგინება საგადასახადო ორგანოს არაუგვიანეს მომდევნო წლის 15 იანვრისა - 9000 მ3 (15 000/10*6).

2022-2025 წლებში (ემთხვევა კალენდარულ წელს), ყოველი წლის ექვსთვიან პერიოდებზე სავადო თარიღებისათვის (არაუგვიანეს 15 ივლისი და მომდევნო წლის 15 იანვარი) წარდგენილ გაანგარიშებაში, ასახულ უნდა იქნეს შესაბამისი წლის ათვისების გეგმით განსაზღვრული რესურსის მოცულობა თანაბარ ნაწილებად (წლიური გეგმის $\frac{1}{2}$ -ის ოდენობით), მოცემული მაგალითის პირობებში - 10 000 მ3(20 000/2).

2026 წლის წლიური გეგმა მოიცავს 2 თვეს - იანვრიდან თებერვლის თვის ჩათვლით პერიოდს. შესაბამისად, რადგან აღნიშნული პერიოდი არ აღემატება 6 თვეს, წლიური გეგმით მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (2000 მ3) სრულად ექვემდებარება ასახვას 2026 წლის 15 ივლისისათვის წარსადგენ გაანგარიშებაში.

მაგალითი 2:

პირმა 2021 წლის სექტემბრის თვეში მიიღო სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) მოპოვების ლიცენზია 2026 წლის სექტემბრამდე მოქმედების ვადით. ლიცენზიაზე

დამტკიცებული ათვისების გეგმის შესაბამისად, მოსაპოვებელი წიაღისეულის 2021 წლის წლიური ოდენობა შეადგენს 4 000 მ³-ს, შემდეგ წლებში 12 000 მ³-ს, ხოლო 2026 წელს (პირველ სექტემბრამდე) - 8 000 მ³ -ს.

მოცემულ შემთხვევაში:

2021 წლის წლიური გეგმა მოიცავს 4 თვეს - სექტემბრიდან დეკემბრის თვის ჩათვლით პერიოდს. შესაბამისად, რადგან აღნიშნული პერიოდი არ აღემატება 6 თვეს, წლიური გეგმით მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (4000 მ³) სრულად ექვემდებარება ასახვას 2022 წლის 15 იანვრისათვის წარსადგენ გაანგარიშებაში.

2022-2025 წლებში, ყოველი წლის ექვსთვიან პერიოდებზე სავადო თარიღებისათვის (არაუგვიანეს 15 ივლისი და მომდევნო წლის 15 იანვარი) წარდგენილ გაანგარიშებაში, ასახულ უნდა იქნეს შესაბამისი წლის ათვისების გეგმით განსაზღვრული რესურსის მოცულობა თანაბარ ნაწილებად (წლიური გეგმის $\frac{1}{2}$ -ის ოდენობით), მოცემული მაგალითის პირობებში - 6 000 მ³(12 000 მ³/2).

ლიცენზიის დასრულების წელს (2026 წელს) - ვინაიდან წელი არის არასრული (მოიცავს 8 თვეს), 15 ივლისის და მომდევნო წლის 15 იანვრის სავადო თარიღებისათვის წარდგენილ ექვსთვიან საანგარიშო პერიოდების გაანგარიშებებში ასახულ უნდა იქნეს თვითური ლიმიტის შესაბამისად განსაზღვრული 2026 წლის გეგმით გათვალისწინებული ასათვისებელი რესურსის მოცულობა. მოცემული მაგალითის პირობებში, 2026 წლის I ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის გაანგარიშებაში (სვ.4) ასახვას ექვემდებარება 6 000 მ³ (8 000 მ³/8*6), ხოლო II ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის გაანგარიშებაში 2 000 მ³ (8 000 მ³/8*2).

დ.ვ) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების შემთხვევაში, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის სტადიაზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულისათვის ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით;

დ.ზ) შავ ზღვაში თევზჭერაზე - თევზჭერის ყოველწლიური კვოტიდან თევზჭერის ლიცენზიით განსაზღვრული პროცენტის შესაბამისად მოსაპოვებელი თევზის რესურსის სრული ოდენობა;

დ.თ) სხვა ბუნებრივ რესურსებზე - თვის განმავლობაში ფაქტობრივად მოპოვებული ბუნებრივი რესურსის მოცულობა (ოდენობა);

დ.ი) ლიცენზიის გარეშე მოსაპოვებელ სასარგებლო წიაღისეულზე - კვარტლის განმავლობაში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობის პროპორციულად. ამასთანავე, თუ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა ან თუ მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მოცულობა აღემატება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრულს, მოსაკრებელი გადაიხდება ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით;

ე) მე-5 სვეტში აისახება ბუნებრივი რესურსის ის მოცულობა (რაოდენობა), რომელიც არ ექვემდებარება მოსაკრებლის გადახდას. ასევე, წლის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარდგენილი გაანგარიშების ამ სვეტში ასახაი მონაცემები შეიძლება წარმოიქმნას იმ შემთხვევაში, როცა გაანგარიშების მე-4 სვეტში ასახული ბუნებრივი რესურსის ჯამური მოცულობა აღემატება სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ ყოველწლიურად ასათვისებელ მოცულობას, იმ პირობებში, როცა ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობა არ აღემატება სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ ყოველწლიურად ასათვისებელ მოცულობას.

მაგალითი 3:

პირი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) მოპოვების ლიცენზიას, რომელზეც დამტკიცებული ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა შეადგენს 20 000 მ³. 2019 წლის I ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში გადამხდელს რესურსი არ მოუპოვებია, ხოლო II ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებულია 14 000 მ³ მოცულობის ბუნებრივი რესურსი.

მოცემულ შემთხვევაში:

პირის მიერ საგადასახადო ვალდებულება მოსაკრებლის ნაწილში უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:

2019 წლის 15 ივლისის საკუთარ თარიღისთვის წარდგენილ განცხადებაში მოპოვებული/ მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს 2019 წელს ლიცენზიით განსაზღვრული ასათვისებელი რესურსის წლიური ოდენობის ნახევარი 10 000 მ³.

2020 წლის 15 იანვრის სავადო თარიღში წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/ მოსაკრებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის რაოდენობა 14 000 მ3. იმის გათვალისწინებით, რომ წლის მანძილზე ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობა (14 000 მ3) ნაკლებია ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ 2019 წლის ასათვისებელ წლიურ მოცულობაზე (20 000 მ3) მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება 20 000 მ3 ოდენობის ბუნებრივ რესურსზე. შესაბამისად, ვინაიდან გაანგარიშების მე-4 სვეტში ჯამურად ასახული რესურსის რაოდენობა შეადგენს 24 000 მ3-ს (10 000 მ3 + 14 000 მ3), გაანგარიშების მე-5 სვეტში ასახვას ექვემდებარება 4 000 მ3 ((10 000 მ3+14 000მ3)-20 000 მ3) რესურსის მოცულობა.

მაგალითი 4:

პირი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) მოპოვების ლიცენზიას, რომელზეც დამტკიცებული ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა შეადგენს 20 000 მ³. 2019 წლის I ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში გადამხდელმა მოიპოვა 18 000 მ³ მოცულობის ბუნებრივი რესურსი, ხოლო II ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებულია 8 000 მ³ მოცულობის ბუნებრივი რესურსი.

მოცემულ შემთხვევაში:

პირის მიერ საგადასახადო ვალდებულება მოსაკრებლის ნაწილში უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:

2019 წლის 15 ივლისის საგადო თარიღისთვის წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/ მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის რაოდენობა 18 000 მ³.

2020 წლის 15 იანვრის სავადო თარიღში წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/ მოსაკრებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს 2019 წელს ლიცენზიით განსაზღვრული ასათვისებელი რესურსის წლიური ოდენობის ნახევარი 10 000 მ3. იმის გათვალისწინებით, რომ წლის მანძილზე ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის მოცულობა (26 000 მ3) აღემატება ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებულ 2019 წლის ასათვისებელ წლიურ მოცულობას (20 000 მ³) მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება ფაქტობრივად მოპოვებული 26 000 მ3 ოდენობის ბუნებრივ რესურსზე შესაბამისად, ვინაიდან გაანგარიშების მე-4 სვეტში ჯამურად ასახული რესურსის რაოდენობა შეადგენს 28 000 მ3-ს (18 000 მ3 + 10 000 მ³), გაანგარიშების მე-5 სვეტში ასახვას ექვემდებარება 2 000 მ3 ((18 000 მ3 + 10 000 მ³) - 26 000 მ³) რესურსის მოცულობა.

მაგალითი 5:

პირი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) მოპოვების ლიცენზიას, რომელზეც დამტკიცებული ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა შეადგენს 20 000 მ³. 2019 წლის I ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში გადამხდელმა მოიპოვა 16 000 მ³ მოცულობის ბუნებრივი რესურსი, ხოლო II ექვსთვიან საანგარიშო პერიოდში ფაქტობრივად მოპოვებულია 4 000 მ³ მოცულობის ბუნებრივი რესურსი.

მოცემულ შემთხვევაში:

პირის მიერ საგადასახადო ვალდებულება მოსაკრებლის ნაწილში უნდა შესრულდეს შემდეგნაირად:

2019 წლის 15 ივლისის საკუთარი თარიღისთვის წარდგენილ გაანგარიშებაში მოპოვებული/ მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს ფაქტობრივად მოპოვებული რესურსის რაოდენობა 16 000 მ³.

2020 წლის 15 იანვრის სავადო თარიღში წარმოდგენილ განგარიშებაში მოპოვებული/ მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა (სვტ. 4) უნდა აისახოს 2019 წელს ლიცენზიით განსაზღვრული ასათვისებელი რესურსის წლიური ოდენობის ნახევარი 10 000 მ³. იმის გათვალისწინებით, რომ წლის მანძილზე ფაქტობრივად მოპოვებულია ათვისების შესაბამისი გეგმით გათვალისწინებული 2019 წლის ასათვისებელი რესურსის წლიური მოცულობა (20

000 მ³) მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წარმოიქმნება რესურსის ამ მოცულობაზე (20 000 მ³). შესაბამისად, ვინაიდან გაანგარიშების მე-4 სვეტში ჯამურად ასახული რესურსის რაოდენობა შეადგენს 26 000 მ³-ს (16 000 მ³ +10 000 მ³), გაანგარიშების მე-5 სვეტში ასახვას ექვემდებარება 6 000 მ³ ((16 000 მ³+10 000მ³)-20 000 მ³) რესურსის მოცულობა.

ვ) მე-6 სვეტში აისახება მოსაკრებლის გადახდას დაქვემდებარებული ბუნებრივი რესურსის მოცულობა (რაოდენობა) (სვტ.4 – სვტ.5).

ზ) მე-7 სვეტში აისახება მოსაკრებლის ის განაკვეთი, რომელიც კონკრეტულად განსაზღვრულია პირველ სვეტში მოცემული მოსაკრებლის გადახდას დაქვემდებარებული თითოეული სახეობის რესურსისათვის.

თ) მე-8 სვეტში აისახება მე-6 და მე-7 სვეტებში მოცემული სიდიდეების ნამრავლი.

